საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუტის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი. 2017 წ. №228 (8365), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



საქართველოს მარადიულად თანამდევი, უკვდავი სული,

საბედისწეროდ ჩათვლემილ ქართველობას თავისი საუკუნეებს გადაწვდენილი ხმით ნიადაგ გამოსაფხიზლებლად რომ უეიჟინებდა, რომელი ეიჟინაც, სამწუხაროდ, ისევ და ისევ ესოდენ აქტუალურია!..

180 როდემდე?!.. როდემდე?!.

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი –
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

ილია ჭავჭავაძის 180 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით საგურამოში, ილიას მუზეუმსა და ეზოში დღეს, სახალხო დღესასწაული აღინიშნება. ამასთან დაკავშირებით, მოქალაქეებს თბილისიდან საგურამოს მიმართულებით და – პირიქით, უფასო სამგზავრო ავტობუსები მოემსახურებათ.

ავტობუსები საგურამოს მიმართულებით დღის განმავლობაში 2-ჯერ – 13:00 საათსა და 18:30 საათზე გავა.

ნუგზარ ალექსიძე:

სიცოცხლეს გაფრთხილება უნდა ათასგვარი მტრისგან!..

როგორ ავიცილოთ სტრესი, დეპრესია და თვით-მკვლელობა?!

⑥ ⑦

ლადო პაპავა:

ეროვნული ბანკი არის მსხვილი კომერციული ბანკების მონა

④

ვაჰ, დრონი, დრონი...

ვანო მერაბიშვილი პოლიტიკაშიც „რჩება“ და ცხოვრებაშიც...

⑤

„სიაბანდ ცივილიზებულთა“ ძალადობა

③

რა იწვევს ადამიანის დაცემას?..

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ჯანსულ ჩარკვიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკრაინის ვიცე-პრემიერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უკრაინის ვიცე-პრემიერს, სოციალური პოლიტიკის მინისტრ პავლო როზენკოს შეხვდა, რომელიც, სოციალური პროგრამების მიმართულებით საქართველოს გამოცდილებას ეცნობა.

პავლო როზენკომ აღნიშნა, რომ უკრაინისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია, გაიზიაროს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის კუთხით საქართველოში არსებული თანამედროვე პროგრამები. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინის ვიცე-პრემიერს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყანაში ბოლო პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ. შეხვედრისას საუბარი შეეხო სხვადასხვა მიმართულებით ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკას და აღინიშნა, რომ ამაზე მაღალი დონის ვიზიტებიც მეტყველებს. მხარეებმა ასევე ისაუბრეს ორი ქვეყნის წინაშე არსებულ საერთო გამოწვევებზე და ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთმხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურეს. შეხვედრას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თედო ჯაფარიძე დაესწრნენ.

ირაკლი კობახიძე ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს გაეცნო

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში სეიდ ჯავად ყავამშაჰიდისთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

მხარეებმა ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობას გაუსვეს ხაზი და ურთიერთობის გაღრმავების სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ორი ქვეყანა აქტიურად იმუშავებს ფინანსურ-ეკონომიკური, სამართალდაცვითი და სა-

პარლამენტო თანამშრომლობის გასაღრმავებლად. ორმხრივი ურთიერთობების შესახებ საუბრისას ელჩმა ყურადღება საქართველოს პარლამენტის როლზე გაამახვილა. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს აქტიურობას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში.

თურქეთის ელჩი საქართველოს მთავარ პროკურატურაში

საქართველოს მთავარ პროკურატურას თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ზექი ლევენთ გუმრუჩქუ ეწვია და საქართველოს მთავარ პროკურორთან ირაკლი შოთაძესთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს პროკურატურასა და თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ელჩმა საქართველოს მთავარ პროკურორს თანამშრომლობისთვის და სამართლებრივი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. ირაკლი შოთაძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ დიდი და მნიშვნელოვანია ელჩის წვლილი ორი ქვეყნის კოლეგა უწყებას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში, რაც ბოლო წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა და გამოიხატებოდა უმაღლესი დონის ვიზიტებსა და შეხვედრებში როგორც საქართველოში, ასევე

თურქეთში. შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მნიშვნელობაზე.

მიწისქვეშა გადასასვლელები კრიტიკას ვერ უძლებს!

თბილისის ახლადარჩეულმა მერმა კახა კალაძემ ზოოპარკისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი დაათვალიერა და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო.

კახა კალაძე მიწისქვეშა გადასასვლელში „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობასთან ერთად იმყოფებოდა, რომელსაც დღეიდან დასუფთავებისა და გადასასვლელების მოწესრიგების სამუშაოების დაწყება სთხოვა.

„მიწისქვეშა გადადასვლელებში არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. ძალიან მძიმე ვითარებაა. „თბილსერვისის“ ხელმძღვანელს მინდა ვთხოვო, რომ დღესვე დაიწყოთ სამუშაოების შესრულება – მორეცხვა, ელექტროგაყვანილობა და განათება, რადგან აღარაფერი არსებობს. ყველაფერი, რაც ადრე იყო, დაზიანებულია. შესაბამისად, ეს ყველაფერი მალე უნდა მოვიყვანოთ მწყობრში და მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გადაადგილება კომფორტულად შეეძლოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აქვს ინფორმაცია, რომ ქალაქში ზოგიერთი მიწისქვეშა გადასასვლელი გასხვისებული, ან იჯარით არის გაცემული.

„ჩვენ არავის საკუთრებას არ ვეხებით, თუმცა მინდა გთხოვოთ, რომ ერთიანი სტარდარტი იქნეს შემუშავებული და ათი დღის განმავლობაში სრული სურათი წარმოადგინოთ. ყველა ადამიანმა, მესაკუთრემ თუ ვისაც იჯარით აქვს გაცემული მიწისქვეშა გადასასვლელი, კეთილი უნდა ინებონ და ერთიან სტანდარტში უნდა მოიყვანონ არსებული მდგომარეობა. ბევრ კონკრეტულ

ადგილზე მძიმე მდგომარეობაა და ეს ძალიან სწრაფად უნდა მოვაგვაროთ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ამასთან, არჩეულმა მერმა ახალგაზრდებს მიმართა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვასთან დაკავშირებით, მათი ნიჭის გამოყენების შესაძლებლობაზე ისაუბრა.

უბილეთო მგზავრობისთვის საჭიროა ჯარიმების გაზრდა

თბილისის არჩეული მერი დადებითად აფასებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმის საფასურის გაზრდას.

„უბილეთო მგზავრობისთვის საჭიროა ჯარიმების გაზრდა. ჩვენ ბევრი მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების ჩართულობა და თანადგომა იქნება ძალიან მაღალი. ეს ქალაქი მარტო ჩემი და ჩემი პასუხისმგებლობა არ არის. მართალია, მაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, ვარ თბილისის მერი, მაგრამ საზოგადოებაც აქტიურად უნდა იყოს ჩართული ქალაქის მოწესრიგებაში, აღმშენებლობაში. სირცხვილი უნდა იყოს ქუჩაში ნაგვის დაყრა, სიგარეტის გადაგდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მე-5 მოწვევის საკრებულომ მუშაობა დაასრულა

თბილისის მე-5 მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა დასრულდა. დეპუტატებმა გუშინ 106-ე სხდომა ჩაატარეს. სხდომაზე საკრებულოს წევრებმა 33 საკითხს უყარეს კენჭი. სხდომას 25 დეპუტატი ესწრებოდა. მე-5 მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატებმა სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა კოლეგებს მადლობა გადაუხადა და მეექვსე მოწვევის საკრებულოს უფრო კონსტრუქციულ გარემოში მუშაობა უსურვა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძემ კი ისურვა, რომ მე-6 მოწვევის საკრებულოც ისეთივე შრომისუნარიანი იყოს, როგორც მე-5 მოწვევის. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა სავარაუდოდ, მომავალ კვირას გაიმართება.



მწვანე კონცხი შავ ზღვას თანამედროვე საბაგიროთი დაუკავშირდება

საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი მწვანე კონცხზე ხუთვარსკვლავიან სამკურნალო-გამაჯანსაღებელ სასტუმრო-კომპლექსს აშენებს.

პროექტი უპრეცედენტოა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი საბაგირო გზით დააკავშირებს მწვანე კონცხსა და შავი ზღვის სანაპიროს. კომპლექსი მოიცავს ყველა იმ ატრიბუტს, რაც ახასიათებს უმაღლესი დონის საერთაშორისო სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრებს.

„25 წელზე მეტია, რაც მწვანე კონცხზე 80-იან წლებში მოწყობილი ღია სავარძლიანი საბაგირო გზა დანგრეულია და აღარ ფუნქციონირებს. ჩვენი კომპლექსის ფარგლებში, უმაღლესი სტანდარტის გერმანული კომპანია, დოპელმაიერის მიერ მოეწყობა ახალი, საზოგადოებრივი დანიშნულების საბაგირო გზა, რომლის გამტარობაც დღეში 5000 ადამიანი იქნება და ნებისმიერი მსურველი ზღვიდან, რამდენიმე წუთში აღმოჩნდება მწვანე კონცხზე. საბაგიროს განვითარების ფარგლებში ქვედა სადგურის მიმდებარედ მოეწყობა კაფე-რესტორანი და საცურაო აუზი. სასტუმრო კომპლექსში იფუნქციონირებს, სხვადასხვა კატეგორიის 250-მდე ოთახი, ღია და დახურული აუზები, ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნები, ბავშვთა გასართობი ცენტრი და კინო-თეატრი. ამას გარდა სასტუმრო უმასპინძლებს ნებისმიერი ფორმატის საერთაშორისო კონფერენციას. სასტუმროს მთელს ტერიტორიაზე მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, დამსვენებლებს წელიწადის ნებისმიერ დროს მოემსახურება, რაც თავის მხრივ ინტენსიური ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. პროექტისთვის საჭირო მიწის ფართობი კომპანიამ შეიძინა საბაზრო ფასად, კომპლექსის მიმდებარე სანაპირო ზოლი, როგორც დაგეგმილი იყო, იქნება ღია და საზოგადოებრივი დანიშნულების. ტურიზმის განვითარების ფონდის ყველა სხვა პროექტის ანალოგიურად, მწვანე კონცხის პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი რესურსებისა და უპირატესობების განვითარებას და მას ახალ მიზიდულობის ცენტრად აქცევს. საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი დაფუძნებულ იქნა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მიერ და მიზნად ისახავს, ქვეყნის ტურიზმისა და ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიანი ინვესტიციებით. ამჟამად ხორციელდება 8 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა 680 მილიონ დოლარს აჭარბებს. რვავე პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და მათში ჯამურად უკვე ინვესტირებულია 400 მლნ ლარზე მეტი. ამ მასშტაბური პროექტების ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე ჯამურად საქმდება 20 000 ადამიანზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ დასაქმებულთა რიცხვი რამდენიმე ათასს გაუტოლდება“, – აცხადებენ უწყებაში.

„სიაბანდ ცივილიზებულთა“ ძალადობა

ამ დღეებში ე.წ. აგრესიული ლიბერალების მხრიდან ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ საოცრად აქტიური შეტევა განხორციელდა.

ეს შეტევა არ იყო მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ყველაფერი კი ცნობილი ჰოლივუდელი პროდიუსერის ჰარვი ვაინშტაინის მიმართ აგორებული სკანდალის შემდეგ დაიწყო. მას სექსუალურ შევიწროებაში საკმაოდ ბევრი ადამიანი სდებს ბრალს.

ჰარვი ვაინშტაინის წინააღმდეგ ამტყდარი აჟიოტაჟის შემდეგ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი ე.წ. „ქამინგაუტით“ გამოვიდა და თავისი გადახრების შესახებ სხვადასხვა სახის განცხადებები გააკეთა.

ყველას, ცხადია, არ ჩამოვთვლი და არც მათი ცოდვების შესახებ ვისაუბრებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მოძალადეთა და ძალადობის მსხვერპლთა შორის კევინ სპეისი, დასტინგ ჰოფმანი და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგო ვალსტრომიც აღმოჩნდნენ.

მსახიობ ალისა მილანოს მიერ სოციალურ ქსელში წამოწყებულ კამპანიაში, რომელიც ჰეშთეგით #MeToo („მეც“) ვრცელდება, სულ უფრო მეტი ადამიანი ჩაერთო. ისინი წერენ პოსტებს და თავიანთ ამბებს მთელს მსოფლიოს უზიარებენ.

ცხადია, ქართველი „ცნობადების“ გარკვეული ნაწილი, რომლის ცხოვრების არსი ნებისმიერი ხერხით საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა, არ ჩამორჩა „მოდას“ და სხვადასხვა ტელეშოუებსა თუ ელექტრონულ გამოცემებში „მკაცრად გაილაშქრა“ ე.წ. მოძალადეების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძალადობა საშინელებაა და რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ამ ყველაფერმა საკმაოდ ორგანიზებული, მიზანმიმართული და ფორსირებული ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს კამპანია მართულია და იმ ძალების მიერ არის დაწყებული, ვინც არანორმალური ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ნამდვილი ფასეულობების წაშლას ცდილობს.

ასევე უმთავრესია ის საკითხი, თუ ვინ მოუწოდებს ადამიანებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. მე უცხოელებზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ ვერაფრით მივიღებ მოწოდებებს ნანუკა ჟორჟოლიანისგან, რომელმაც შეცდომით განხორციელებული ზარის გამო მეუღლის ზონდერებს ახალგაზრდა მამაკაცები აწამებინა. ვერ მივიღებ ტოლერანტობისკენ მოწოდებებს იმ ადამიანებისგან, ვინც თავად აწამებდა (მაგალითისთვის სულხან მოლაშვილის მიერ მის წამებაში დასახელებული გიგა ბოკერიაც კმარა), ვინც „აპრავებდა“ იმ ბოროტებას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში იყო გამეფებული (ეკა კვესიტაძე, დავით პაიჭაძე). ვერ მივიღებ ნიკა გვარამიასგან, რომლის პროკურორად „მოღვაწეობა“ ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

ვერ მივიღებ ვერანაირ დამუნათებას იმ ხალხისგან, ვინც დღეს პირდაპირ ძალადობს ხალხის ცნობიერებაზე და აგრესიული მოწოდებებით ცდილობს, დაანგრიოს და მახინჯი ფორმით წარმოადგინოს ადამიანის უმთავრესი უფლება — სწამდეს უფალი და ცხოვრობდეს იმ კანონებით, რაც უზენაესმა დაადგინა. უყვარდეს, იბრძოდეს, შრომობდეს სამშობლოსა და ოჯახის საკეთილდღეოდ და არა ცხოველური ინსტინქტების სადიდებლად.

ეს აგრესიული ლიბერალები საქართველოს მოსახლეობას ორი ფრონტიდან უტევენ.

ნარკომანიის დეკრიმინალიზაცია და სექსუალური თავისუფლება.

უტევენ, რადგანაც ძალიან კარგად იციან, რომ ეს „თავისუფლებები“ იწვევს ადამიანის დაცემას. მის მოწყვეტას საზოგადოებისგან. ანგრევს ოჯახს, მეგობრობას, სიყვარულს. სწორედ ამიტომაც ცდილობენ, კარგად „შეფუთონ“ ეს სწრაფი მოქმედების ნაღმები და ახალგაზრდობაში გაავრცელონ.

ძალიან დასაფიქრებელია არჩევნების შემდეგ ე.წ. აგრესიული ლიბერალების ასეთი გააქტიურება. მიზანი, ფაქტობრივად, გაცხადდა: მათ ხალხის გაღიზიანებით სურთ გამოიწვიონ პროვოკაცია, რისი საბოლოო მიზანი დესტაბილიზაცია და სწორად მოაზროვნე ხალხისთვის სხვადასხვა ფორმით დიდი ზიანის მიყენებაა.

არა მგონია, რომ ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლებს“ „ზაგაჟნიკში“ ჰქონოდათ ჩამოყალიბებული სტრატეგია და იმ რაოდენობის თანხა, რომ პროპაგანდისტული შეტევა ასე ფორსირებულად განეხორციელებინათ.

მსგავსი ქმედების განხორციელება, სავარაუდოდ, თავისუფლების ინსტიტუტის პარტიულ ფრთას შეეძლო, რომელიც სრულად იყენებს თავის მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებს. დამერწმუნეთ, ეს თემა საკმაოდ სერიოზული კვლევის საგანია და მისით შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ, რათა მათ არ მიეცეთ თავიანთი ბინძური გეგმის განხორციელების საშუალება.

საზოგადოება რომ პოლარიზებულია, ეს ძალიან ნათლად ჩანს იმ რეაქციებიდან, რაც ამა თუ იმ საპროტესტო აქციასა თუ ტელეგადაცემას მოსდევს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძალადობა საშინელებაა და რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ამ ყველაფერმა საკმაოდ ორგანიზებული, მიზანმიმართული და ფორსირებული ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომაც გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს კამპანია მართულია და იმ ძალების მიერ არის დაწყებული, ვინც არანორმალური ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ნამდვილი ფასეულობების წაშლას ცდილობს.

უარყოფითი დამოკიდებულების არცთუ ისე კონკრეტული ფორმებით გამოხატვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ აგრესიული ლიბერალები, ფაქტობრივად, სრულად აკონტროლებენ ტელესივრცეს და ახდენენ თავიანთი ბინძური აზროვნების პროპაგანდას. ნორმალურად მოაზროვნე ნაწილს ხელი, ფაქტობრივად, არ მიუწვდება მსგავს გადაცემებზე და ამიტომაც ისინი ღირსეულ პასუხს ვერ იღებენ, რაც საზოგადოების გაღიზიანებს იწვევს.

თემებზე კომენტარებს ძალიან ვერიდებოდი, მაგრამ დღეს აუცილებლად ვთვლი ჩემი მოსაზრების გაცხადებას.

ეს თემებია:

1. ჩარევა ჟურნალისტურ საქმიანობაში;

2. ამა თუ იმ საპროტესტო აქციის კრიტიკა.

ცხადია, მიხვდით, რომ ქვესათაურებში ძალიან რბილად შევაფასე ეს ორივე თემა. ძალიან კარგად მესმის იმ მკითხველისა თუ მაყურებლისა, ვინც თავის დამოკიდებულებას გამოხატავს ამა თუ იმ გადაცემის ან სტატიის მისამართით. მესმის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან პოლიტიზებულია და ხალხს გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება სხვადასხვა რესპონდენტის მიმართ. აქვთ ძალიან პოლარიზებული დამოკიდებულება პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეების მოღვაწეობასთან მიმართებაში და, ბუნებრივია, სურთ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება საჯარო გახადონ, რისთვისაც სოციალური ქსელი ძალიან კარგ საშუალებას წარმოადგენს.

მინდა, როგორც მოქალაქემ და შემდეგ ჟურნალისტმა, პირდაპირ განვაცხადო, რომ ჩვენც, ჟურნალისტებსაც, გვაქვს ჩვენი შეფასებები რესპონდენტების მიმართ, მაგრამ ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებული, ვიმეორებ ვალდებული ვართ, საზოგადოებას მივცეთ საშუალება თავად წაიკითხოს, უყუროს, უსმინოს იმ მომენტისთვის ყველაზე აქტულური საკითხის შეფასებას, როგორც თემაში ჩართული ადამიანების მხრიდან, ასევე საზოგადოების გარკვეული წევრების მხრიდანაც.

კი, ბატონო, გეთანხმებით იმაშიც, რომ გარკვეულ წილად გვეტყობა ჩვენი სიმპათია-ანტიპათიები, მაგრამ იმ ხალხს ვაძლევთ საშუალებას, ბოლომდე გამოხატოს თავისი აზრი, ხოლო თქვენ გაძლევთ საშუალებას, თავად გამოიტანოთ დასკვნები.

დარწმუნებული ვარ, რომ კარგად მიხვდით იმას, თუ რისი თქმაც მინდა და სწორად შეაფასებთ. სწორედ ამიტომ ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია ფრაზები — ნუ წერ ამ თემაზე, ნუ მოგყავს სტუმრად ესა თუ ის ადამიანი, ნუ აშუქებ ამ თემას. დამერწმუნეთ, რომ ეს იგივეა რაც, მაგალითად, ექიმს უთხრა, ამას არ უმკურნალო, ან ადვოკატს, ნუ იცავ ამა თუ იმ პიროვნებასო.

დამერწმუნეთ, რომ ჩვენთვის და ჩვენი პროფესიისთვის გაცილებით უკეთესია, გვითხრათ არა ის, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი, არამედ ის, თუ რა გამოგვრჩა მასალაში ან გადაცემაში. გვითხრათ ის ნიუანსები, რაზეც აჯობებდა ყურადღების გამახვილება.

ზუსტად იგივე მდგომარეობაა აქციებთან მიმართებაში. მე ხშირად მამუნათებენ, რომ ხანდახან ვესწრები მათთვის მიუღებელ აქციას. აქციას, რომელიც არ მოსწონთ იმის გამო, რომ მონაწილეობას იღებენ მათთვის მიუღებელი ადამიანები ან ხმიანდები ის მოწოდებები, რომელთა ნაწილიც მიუღებელია.

პირდაპირ ვიტყვი, რომ იქ ზოგიერთ პიროვნებასთან ერთად ჩემი პირადი მეგობრებიც არიან და ხმიანდება ის მოწოდებები, რომელთა ნაწილი ჩემთვის მისაღებია და, ბოლოს: მე ვესწრები აქციას თუნდაც იმიტომ, რომ მაგ დროს ვმუშაობ. ვაგროვებ მასალას სტატიისთვის თუ პუბლიკაციისთვის.

აქ არანაირ მოწოდებას არ ვაკეთებ, რადგანაც ვიცი, ბოლომდე არაფერი შეიცვლება, მაგრამ დარწმუნებული ვარ რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სწორად აღიქვამს ჩემს დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ. ასევე მინდა ყველას, პოლიტიკოსებს, მოქალაქეებს დ.ა.შ. ვისაც რეალურად სურს თავისი აზრის გამოხატვა, მოვუწოდო — ნუ გახდებიან დამოკიდებულნი იმ ტელეგადაცემების მძევალნი, რომლებიც თავიდანვე ფაქტების დამახინჯებაზეა ორიენტირებულნი.

დამერწმუნეთ, ბეჭდური მედია, ფაქტობრივად, თავისუფალია აგრესიული ლიბერალების გავლენისგან და რომელიმე შოუში ნასროლ ლოზუნგს, რომელიც ოპონენტების მიერ მაშინვე იხშობა, საგაზეთო სტატიაში მოსაზრებების ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბება სჯობს.

ამ ე.წ. „ელჭიპიტელებისადმი მიძღვნილ“ მოსაზრებებში გამოითქმებოდა ისეთი რამ, რაც ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის პასიურობას „ეძღვნებოდა“.

ბუნებრივია, ხელისუფლება აქტიურად, ანუ მისთვის შესაძლებელი ღონისძიებების დონეზეა, პოლიციის მიერ „პიდარასტების“ მასობრივი დაპატიმრება, მკვეთრი საკანონმდებლო ცვლილებები დ.ა.შ ვერ და არ ჩაერთვება.

არანაირად არ მოხდება (და არც უნდა მოხდეს) ნამდვილი, დემოკრატიული ფასეულობების გადახედვა, ანუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიზღუდოს ნარკომანიისა და არატრადიციული ორიენტაციის აგრესიული ფორმებით პროპაგანდა. უნდა დადგინდეს საზღვრები ლიბერალიზმსა და აგრესიას შორის.

ის, რასაც ხელისუფლება კარგად აკეთებს, მაგრამ საზოგადოებისთვის მიწოდებაში (ანუ პიარში) ძალიან მოიკოჭლებს, არის ის, რომ ზუსტად განსაზღვრავს ქვეყნისთვის საჭირო ფასეულობებს: ზუსტად განსაზღვრავს ეკონომიკის, ცივილური ღირებულებების, დემოკრატიული პრინციპების გატარებას და არა რამიშვილ-ბოკერია-პატარაია-ვაჭარაძე-სამნიძის შეხედულებებით ცხოვრებას.

სამწუხაროდ, უმთავრესი პრობლემა არის ის, რომ მმართველმა ძალამ თავის დროზე ზუსტი პრიორიტეტი ვერ (**ხაზს ვუსვამ — ვერ!**) აირჩია. ვერ აირჩია, რადგანაც ხან კანდელაკი-ჩიორას შიშით იყო შეპყრობილი, რომელთა განეიტრალება ხიდაშელ-ბერძენიშვილებით სცადა და რაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო არ გამოვიდა, რომ ისინი თავად მიშა-ბოკერიას მენტალობისანი იყვნენ, ხოლო შემდეგ ე.წ. არასამთავრობოების შიში დაემართა.

ხელისუფლებას, რაც არ უნდა სუსტი ბაზა ჰქონდეს, უდიდესი უპირატესობა — ხალხის მხარდაჭერა და გინდა-არ გინდა — ლეგიტიმაცია გააჩნია. აქ კი უკვე მთავარი პრიორიტეტის სწორად განსაზღვრა და ცოტა სიმამაცეა საჭირო.

დღეს უმთავრესი პრიორიტეტი, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია და ასეთ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუ რა ძალას დაეყრდნობა ხელისუფლება — „სიაბანდ ცივილიზებულთ“ თუ ეროვნულ და ჭეშმარიტ დასავლურ ღირებულებებს.

წერილი კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ერთ-ერთი ბოლო გამოსვლის ამონარიდით უნდა დავამთავრო: **„ჩვენ შევაჩერებთ ქრისტიანულ ფასეულობებზე შეტევას. ჩვენ ვბლოკავთ შეტევებს იუდეურ-ქრისტიანულ ფასეულობებზე“.**

ტრამპმა კიდევ ერთხელ შეუტია უკანასკნელ წლებში აშშ-ში ლიბერალური პოლიტკორექტულობის გავლენით დამკვიდრებულ მოცემულობას, როცა საზოგადოების ნაწილი გამოთქმას „ბედნიერ შობას გისურვებთ“ აღარ იყენებდა და მის ნაცვლად ერთმანეთს ბედნიერ არდადეგებს უსურვებდა.

„ისინი აღარ იყენებენ სიტყვა შობას, რადგან ეს პოლიტიკურად კორექტული არ არის. ჩვენ კვლავ ვიძახით, ბედნიერ შობას გისურვებთ“ — განაცხადა ტრამპმა.

მე მგონი, დამატებითი კომენტარი და რაიმე მოწოდება სრულიად ზედმეტია.

გია გაბრიჭიძე

ლადო პაპავა: ეროვნული ბანკი არის მსხვილი კომერციული ბანკების მონა

ლარი იმდენად გაუფასურდა, რომ მისი სტაბილურობა უკვე აღარავის სჯერა. როდესაც მოსახლეობას და ბიზნესს ყველა იმედი გადაეწურა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მაშინღა ამოიღეს ხმა, თუმცა მათი მიკიბ-მოკიბული საუბრის აღარვის სჯერა. მთავრობასთან ერთად საბოლოოდ განულდა ეროვნული ბანკის ავტორიტეტი, რომელიც საზოგადოებას ახსნა-განმარტებისა და დამშვიდების ნაცვლად, ყველა საშუალებით გაურბის.

მთავრობა ბოლო ორი დღეა, მოსახლეობის დამშვიდებაზე გადავიდა. ეკონომიკის მინისტრის **გიორგი გახარიას** განმარტებით, კურსის ცვალებადობა მართლაც დამოკიდებულია მოლოდინზე. როგორც კი ეს პერიოდი ჩაივლის, სავალუტო ბაზარიც დასტაბილურდება და გამყარებაც დაიწყება.

„ფუნდამენტური მაკროეკონომიკური პარამეტრები არის პოზიტიური, ეკონომიკური ზრდა სექტემბრის მონაცემებით კარგი გვაქვს, ექსპორტის ნაწილში 28%-ზე მეტი ზრდა გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ბაზარზე მოთხოვნა დასტაბილურდა, ტურიზმის ნაწილში კარგი მაჩვენებელებია, შესაბამისად გამოდის, რომ მართლაც ეს არის მოლოდინის თემა.

შარშან, წლის ბოლოს, უფრო რბილად გადავლახეთ გაუფასურების ეტაპი, ვიდრე შარშანწინ. დარწმუნებული ვარ, წელს ლარის კურსის მერყეობა გადალახული იქნება კიდევ უფრო რბილად. მესმის, რომ ლარის კურსის მერყეობა პირდაპირ არის დამოკიდებული ჩვენი მოქალაქეების შემოსავლებთან, მაგრამ ასევე უნდა ვთქვათ ის მომენტი, რომ ლარის კურსი ბოლო წლებში სტაბილურად გარკვეული დროის შემდეგ მყარდება. წელსაც იგივე ეფექტი იქნება“, — განაცხადა გახარიამ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე ირწმუნება, რომ საშუალოვადიან პერიოდში ლარის კიდევ უფრო გაუფასურების პრობლემა არ არსებობს.

„რა თქმა უნდა, ლარის დევალვაცია გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, ვისაც სესხი აქვს დოლარში, თუმცა ეს დევალვაცია არის ხანმოკლე პერიოდის. ჩვენ სწორედ ამიტომ გვაქვს ის პროგრამა, რასაც დედოლარიზაციას ვეძახით და ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია. არ გვინდა, რომ ჩვენი მოქალაქეები დამოკიდებული იყვნენ დოლარზე. სესხების კოეფიციენტები მნიშვნელოვნად არის შემცირებული, დაახლოებით 10 პუნქტით და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, თუმცა საკმაოდ გრძელვადიანია.

ლარის დევალვაცია ნამდვილად გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, ვისაც სესხი აქვს დოლარში, თუმცა გაუფასურება არის ხანმოკლე პერიოდი, გარკვეული სეზონური ფასები მუშაობს. არც ერთი მაკროეკონომიკური ფაქტორი გაუარესებული არ არის და საშუალოვადიან პერიოდში ლარის დევალვაციის გაუარესების პრობლემა არ არსებობს“, — განაცხადა **ირაკლი კოვზანაძემ.**

სულ სხვაგვარად უყურებენ საკითხს სპეციალისტები, რომელთა პროგნოზი, ხელისუფლების წევრებისაგან განსხვავებით, თითქმის ყოველთვის მართლდება.

ფინანსისტი თემურ ბასილია ამბობს, რომ ინფლაციასა და ვალუტის გაცვლით კურსზე უმთავრესი გავლენა აქვს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. სებ-ის მონეტარული პოლიტიკა კი მიმართულია ლარის კიდევ უფრო გაუფასურებისკენ.

„ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ პრობლემა არის ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა. მაგალითად, 2017 წლისთვის კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზრდება 1,27 მილიარდ ლარამდე, 2018 წელს - 1,8 მილიარდ ლარამდე, 2019 წელს - 2,33 მილიარდ ლარამდე, ხოლო, 2020 წელს - 3,28 მილიარდ ლარამდე; ანუ ამ 4 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი გეგმავს 3-ჯერ და უფრო მეტად გაზარდოს კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა.

საქართველოში უკვე არაეკონომისტებმაც კი იციან, რომ თუ მიმოქცევაში ფულის მასა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე საქონლისა და მომსახურების მოცულობა, ეს გამოიწვევს ინფლაციის ზრდას, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას, მისი გაცვლითი კურსის დაცემას. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა მოჰყვება მიმოქცევაში არსებული ფულის მასის 3-ჯერ და უფრო მეტად გაზრდას. ეს არის გზა საქართველოს ფინანსური დესტაბილიზაციისკენ“, — განუცხადა „კომერსანტს“ **თემურ ბასილიამ.**

აკადემიკოსი **ლადო პაპავა** კი ამბობს, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე შეიქმნა განცდა, რომ კომერციული ბანკები არიან მონსტრები, რომლებიც ქვეყანას ღუპავენ, ხოლო ეროვნული ბანკი მათი მონაა. ამიტომ, სებ-მა ყველა ეჭვი უნდა მოხსნას, რაც მის გარშემო არსებობს და ხისტი განცხადებები არ უნდა გააკეთოს.

„დღეს საზოგადოებას აქვს განცდა, რომ ეროვნული ბანკი არის მსხვილი კომერციული ბანკების მონა. ეს ბრალდება, პირველ რიგში, ეროვნულმა ბანკმა უნდა მოხსნას და არა ხისტი განცხადებები აკეთოს — საზოგადოებაზე გაბუტული ვარ და არავითარ განმარტებას არ გავაკეთებო.

ეროვნულ ბანკზე ზედამხედველობის ფუნქცია აქვს პარლამენტს. ამიტომ კარგი იქნება, თუ დეპუტატები სთხოვენ ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს, რომ რეაგირება მოახდინონ ან დაიბარონ პარლამენტში და მოსთხოვონ, რომ ხისტი განმარტებები არ აკეთონ“, — განაცხადა პაპავამ.

ბექა დანელია

დენის ახალი ტარიფი თვის ბოლომდე გამოცხადდება

2-3 კვირაში ზუსტად იქნება ცნობილი, დენის გადასახადი გაძვირდება თუ ჯერჯერობით იგივე დარჩება. ქვეყანაში და ენერგოსექტორში არსებული დაძაბული ვითარება კომუნალური გადასახადების გაზრდის საფრთხეს ქმნის. ერთ-ერთი უმთავრესი მათ შორის ლარის დევალვაციაა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ირინა მილორავას განმარტებით, სემეკი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს ერთი კონკრეტული თვის გაცვლითი კურსით არ ითვლის.

„ჩვენ როგორც წესი, ვუყურებთ საშუალო კურსს და ხვალ რაც არ უნდა მოხდეს, ზუსტად ვიცით, რომ 2017 წლის განმავლობაში საშუალო კურსი იყო 2.5-ის (1 აშშ დოლარი 2.5 ლარი ღირს) დონეზე. ამის გათვალისწინებით, კონკრეტული ერთი თვის კურსი არსებით გავლენას ტარიფზე ვერ მოახდენს. ჩვენ ისევ ავიღებთ იმ კურსს, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში. თუ ბიუჯეტის კანონი არ იქნა იმ დროისთვის, პროექტით გათვალისწინებულ კურსს ავიღებთ. რა თქმა უნდა, ლარის კურსს ტარიფზე გავლენა აქვს და ეს 2015 წელს გამოჩნდა, მაგრამ მაშინ ცვლილება ძალიან არსებითი იყო — 1.65 ლარიდან გადავთვალეთ ტარიფი 2.4-ის დონეზე“, — განმარტა **ირინა მილორავამ.**

გარდა ამისა, სამომხმარებლო ტარიფის ფორმირებაზე განსაკუთრებული გავლენა კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას აქვს.



„ეს არის კაპიტალტევადი საწარმოები და, შესაბამისად, კაპიტალური დანახარჯების წილი ამ ტარიფში ძალიან მაღალია“, — აღნიშნა მან.

პარალელურად, ტარიფზე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდაც აისახება. **„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოხმარების ზრდას და იგი გავლენას ახდენს როგორც განაწილების ტარიფზე, ისე ელექტროენერგიის, როგორც პროდუქტის ღირებულებაზე — როცა მოხმარება იზრდება, განაწილების ტარიფი მცირდება, მაგრამ გაზრდილი მოხმარება, ძვირიანი ელექტროენერგიის შესყიდვას ნიშნავს, ამდენად ამ კომპონენტს აქვს ორმხრივი ეფექტი“,** — განმარტა სემეკის თავმჯდომარემ „ბიზნესკონტაქტთან“ საუბრისას.

სავარაუდოდ, ნოემბრის ბოლოს გადაწყვეტილი იქნება, ელექტროენერგიის კომუნალური გადასახადი მოიმატებს თუ არა. **მანამდე კი სემეკმა „ინტერ რაოს“ ინტერესი გაითვალისწინა და მის მფლობელობაში მყოფ, „ხრამჰესი 1“-ის წარმოების ტარიფი 1,58 თეთრით, ხოლო „ხრამჰესი 2“-ის ტარიფი 1,85 თეთრით გაიზარდა. რამდენადაც „თელასი“ უმეტესად სწორედ ამ ჰესებიდან მარაგდება, არის საფრთხე, რომ „ინტერ რაოს“ კუთვნილი ელექტროსადგურებისთვის ტარიფების ზრდა კომუნალურ გადასახადზეც აისახოს.**

რუსულ ენერგოგიგანტი კარგა ხანია, ლარის გაუფასურებისგან მიღებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. ინვესტორი დავის მიმდინარეობისას სტიმულირებისა და ინვესტიციის ურთიერთდაცვის შეთანხმებას ეყრდნობა, რომელიც, მათი ინფორმაციით, ქართულმა მხარემ დაარღვია. საერთო ჯამში, კომპანია საქართველოსგან 175 მილიონ დოლარს ითხოვს.

ენერგეტიკოსი თემურ ჭიჭინაძე კი არ გამორიცხავს, რომ მიმდინარე დავა „ინტერ რაომ“ დენის გადასახადის გაძვირების სანაცვლოდ შეაჩეროს. მართალია, ამაზე დანამდვილებით საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ ეჭვი არსებობს და არცთუ უსაფუძვლო.

„ვფიქრობ, „ინტერ რაოს“ აუცილებელი მოთხოვნა იქნება, რომ სამომხმარებლო ტარიფი გაიზარდოს. ველოდები, რომ ასეც მოხდება. არც ის არის გამორიცხული, ამის სანაცვლოდ რუსულმა კომპანიამ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დავა უკან გაითხოვოს. ყველაფერი იყო მიზანმიმართულად გაკეთებული და ამით საბოლოოდ ჩვენი მოსახლეობა დაზარალდება“, — აცხადებს ჭიჭინაძე.

დანიელ ბექიშვილი

ერთობლივი სწავლებები და საჩვენებელი წვრთნები ჩაატარეს

ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) ვიზიტის ფარგლებში, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კატარღებმა და ნატოს SNMCMG2 ხომალდებმა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი სწავლებები და საჩვენებელი წვრთნები ჩაატარეს.

ერთობლივი საზღვაო წვრთნების დაწყებამდე, სააბორდაჟო ოპერაციის დაგეგმარების პროცესის განხილვა და სააბორდაჟო ჯგუფის მოსამზადებელი სწავლება გაიმართა.

ერთობლივი წვრთნები მოიცავდა საზღვაო მანევრებს და აბორდაჟის ოპერაციებს, რაც დამრღვევი გემის შეჩერება-დაკავებას და ხომალდზე მყოფი პირების შემოწმებას გულისხმობს.

წვრთნებში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 2 ერთეული და ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთის 4 ხომალდი მონაწილეობდა.

ვანო მერაბიშვილი პოლიტიკაშიც „რჩება“ და ციხეშიც...



„ივანე მერაბიშვილი – საქართველოს წინააღმდეგ“ – სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა, შს ყოფილი მინისტრის საქმეზე გადაწყვეტილებას 28 ნოემბერს გამოაცხადებს. შესაბამისი წერილი დაცვის მხარემ უკვე მიიღო. ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის, მერაბიშვილის ადვოკატის ოთარ კახიძის განცხადებით, თუ დადგინდება, რომ დაირღვა ევროკონვენციის მე-18 მუხლი ვანო მერაბიშვილის მიმართ, მაშინ ხელისუფლებას მისი გათავისუფლება მოუწევს.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც ეხება ევროკონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის ფაქტს და ეს არის პირველი საქმე, სადაც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ. მე-18 მუხლის დარღვევის დადგენის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ივანე მერაბიშვილის გათავისუფლება ციხიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებას ეყოლება დეკლარირებული პოლიტიკური პატიმარი“, – განაცხადა ოთარ კახიძემ.

კახიძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, შესაძლოა, ხელისუფლებისთვის ერთგვარი გამოსავალი იყოს. მისივე თქმით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება პატიმარს ეხება ავტომატურად, როგორც კი გავა შესაბამისი ვადა. მერაბიშვილის შემთხვევაში კი, ეს ვადა ნოემბერში გადის. შესაბამისად, როგორც კახიძე აცხადებს, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ადგილობრივმა საბჭომ.

რაც შეეხება პოლიტიკურ დევნას, კახიძე ამტკიცებს, რომ ყოფილი შს მინისტრი პოლიტიკური ნიშნით იდევნება და ეს დაადასტურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სექციამ, რაც გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ და გააჭიანურა პროცესი.

„თუ ძალაში დარჩა სექციის ვერდიქტი, მთავრობას ყველა ვარიანტში მოუწევს მერაბიშვილის გათავისუფლება. ამიტომ, შესაძლოა, ვანო მერაბიშვილის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ხელისუფლებისთვის იყოს ერთგვარი გამოსავალი“...

სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი სარჩელი ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის ეპიზოდს ეხება, ამჟამად კი ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში აღარ იმყოფება. შესაბამისად, როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, როგორიც არ უნდა იყოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, ვანო მერაბიშვილის საქმეზე, ეს ვერ იქნება მისი გათავისუფლების მიზეზი.

„ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი არის განხილვის საკითხი და არის პროცედურები. სპეკულაციები არ შეიძლება. სასჯელაღსრულების სამინისტრომაც ნათელი განცხადება გაავრცელა. მე არ მგონია, რომ პოლიტიკოსებმა განცხადებები უნდა აკეთონ.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში ჩვენც ვართ, თუმცა როგორიც არ უნდა იყოს გადაწყვეტილება, ეს ვერ იქნება გათავისუფლების მიზეზი“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

„ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრები აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი, ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებაზე არის საკმაოდ დიდი ზეწოლა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების მოლოდინი არა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ხატია დეკანოიძეს.

„საქართველოში მიმდინარეობს პოლიტიკური დევნა, რომელიც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ არ დაასრულა საქართველოს ხელისუფლებამ... ვანო მერაბიშვილი არის ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი, ამიტომ მე ნამდვილად მეეჭვება, რომ ვანო მერაბიშვილი თავისუფლებაზე აღმოჩნდეს“, – აცხადებს ხატია დეკანოიძე.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია გამორიცხავს მერაბიშვილის ვადამდე გათავისფლების საკითხში „ქართული ოცნების“ ჩარევას და აცხადებს, რომ მერაბიშვილი არ არის პოლიტიკური პატიმარი.

„ეს არ უთქვამს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ამას ამბობენ მხოლოდ მისი თანაპარტიელები. რაც შეეხება მერაბიშვილის მიმართ მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხს, განხილვას ექვემდებარება, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ყველა გარემოების გათვალისწინებით“, – აცხადებსა ეკა ბესელია.

ვანო მერაბიშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია არა აქვს და ამის საჭიროებასაც ვერ ხედავს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი, რომლის განაცხადებით, ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი სიმართლეს არ შეეფერებოდა.

„არასწორი ინფორმაციის გაჟღერება მოხდა. ვანო მერაბიშვილი არის ჩვეულებრივი მსჯავრდებული, რომელიც მოიხდის სასჯელს ისევე, როგორც სხვა მსჯავრდებულები“, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უდოს კომისია, თუმცა ამის მიუხედავად ჩნდება კითხვა – სად წავა მერაბიშვილი? ყოფილი მინისტრის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა, რომელიც ე.წ. მატროსოვის ციხეში ვანო მერაბიშვილს შეხვდა, აღნიშნა, რომ მერაბიშვილი აპირებს აქტიური პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას.

„მე შევხვდი ბატონ ვანოს. ვისაუბრეთ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის შესახებ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კომისიისთვის მიმართვას არ აპირებს. ვანო მერაბიშვილის დაპატიმრება იყო პოლიტიკური და მისი გათავისუფლებაც იქნება პოლიტიკურად დატვირთული. ის არ აპირებს რაიმე სახის განცხადების გაკეთებას და მიმართვას.

სტრასბურგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ჩვენ ვნახავთ, გავივლით, მოვისმენთ ხელისუფლების პოზიციასაც და შემდგომ გავაკეთებთ განცხადებას. თუ ხელისუფლება არ მოიქცევა ისე, როგორც ამას აკეთებს დემოკრატიული საზოგადოება და დემოკრატიული სახელმწიფოები, ბუნებრივია, ჩვენ გვექნება მერე რეაგირება“, – განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

თამთა ქარჩავა

საგანგებო განცხადება გიორგი ონიანის დაკავების გამო

ადვოკატ გიორგი ონიანის დაკავების ფაქტზე საქართველოს პროკურატურა განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თბილისის შს მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე გიორგი ონიანი. დამნაშავედ სცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, პოლიტიკური დევნისა და განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, 3691-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, და 25-147-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობისთვის ხელის შეშლის, ასევე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა დაშინების მიზნით, 2011 წლის 15 და 17 ოქტომბერს გ.ო-ს ორგანიზებით, იმ დროისთვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დამზადების მიზეზით შპს „დაო-პრინტის“ მენეჯერი დ.შ. და აღნიშნული მაისურების საზოგადოებაში გამავრცელებელი ლ.მ. თბილისის შს სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონოდ დააკავეს. გ.ო.-მ თავის დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს დაავალა პატაკის შედგენა თითქოსდა დ.შ. უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას. რეალურად კი, აღნიშნული შინაარსის ინფორმაცია გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებს მიღებული არ ჰქონდათ. 2011 წლის 15 ოქტომბერს, გ.ო.-ს ორგანიზებითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით, ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დაკავებულ იქნა დ.შ. პოლიციის თანამშრომლებმა დაკავებულს პირადი ჩხრეკა მხოლოდ დაკავების შემდგომ ჩაუტარეს, რა დროსაც მას რაიმე ნარკოტიკული საშუალება არ აღმოაჩნდა, თუმცა დ.შ.-ს მიმართ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდების წარსადგენად მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, გ.ო.-მ საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების დ.შ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღების ფაქტი. მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის შედეგად, დ.შ.-ს წარედგინა ბრალდება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. გ.ო.-მ 2011 წლის 17 ოქტომბერს, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, კიდევ ერთი პირის დევნა განახორციელა და ყოველგვარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ იქნა დააკავეს კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ლ.მ., რომელიც შპს „დაო-პრინტი“-ს მიერ დამზადებული პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების საზოგადოებაში გავრცელებას ახდენდა. გ.ო.-მ ანალოგიური გზით სისხლის სამართლის საქმის ხელოვნურად შექმნისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით, საქმის გამომძიებელს წარუდგინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ და დაავალა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში აესახა ამ ნარკოტიკული საშუალების ლ.მ.-სგან ამოღების ფაქტი, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულის შემდგომ ლ.მ.-ს მიმართ უკანონოდ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით. დ.შ.-სთვის და ლ.მ.-სთვის მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის საფუძველზე წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 11 წლამდე ვადით. თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ო დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთა 4 წლის და 6 თვის ვადით განესაზღვრა. მასვე 2 წლის და 3 თვის ვადით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში საქმიანობის და თანამდებობის დაკავების უფლება“, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ნიკანდრო მელიას პრუტუნი – დაბოღმილი ბრიყვის ღაღადი



გიორგი ონიანის დაკავებას მისი ყოფილი თანაგუნდელი გიგი უგულავა გამოეხმაურა.

„გოგა ონიანის დაპატიმრება არის უსამართლო, დაუსაბუთებელი და ყოვლად უტვინო გადაწყვეტილება... გოგას „კმარას“ დროიდან ვიცნობ და ვიცი, გაუძლებს. სოლიდარობა მას და მის ოჯახს. მელიას პრუტუნი არის დაბოღმილი ბრიყვის ღაღადი და ყველას მინდა გთხოვოთ, ასეთ ბრიყვებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თუ რამე აწყობს ასეთ ვითარებაში ივანიშვილის რეჟიმს, სწორედ ესაა – პოლიტიკური დევნა შიდაოპოზიციურ „რაზბორკაში“ გადაიტანოს. ამიტომ არ აყვეთ!

P. S. ეს სუბიექტი ჯგუშიას მაგონებს. იყო ასეთი პოლიტიკოსი შევარდნაძის ეპოქაში. იმდენი ქნა ბოლოს თავისიან სხვისიანად მას უბრახუნებდა“ – წერს უგულავა.

სიცოცხლეს გაფრთხილება უნდა ათასგვარი მტრისგან!..

როგორ ავიცილოთ სტრესი, დეპრესია და თვით-მკვლელობა?!

ბოლო ხანებში თვითმკვლელობების რიცხვი მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა, თვითმკვლელების ასაკი კი 5-6 წლით გაახალგაზრდავდა. ყოველწლიურად დაახლოებით მილიონი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. 15-44 წლის ასაკის ადამიანები თვითმკვლელების რიცხოვნობის მიხედვით სამეულში არიან განთავსებული.

მრავალ ფსიქოლოგ სპეციალისტს მიაჩნია, რომ თვითმკვლელობა, როგორც ფენომენი, ზოგიერთისთვის სიკვდილი სიცოცხლისგან თავის დაღწევის საშუალებაა. როგორც ფსიქოლოგები და სოციოლოგები ამტკიცებენ, ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ყველა თვითმკვლელობას სამი ურთიერთდაკავშირებული არაცნობიერი მიზეზი უდევს საფუძვლად: შურისძიება, სიძულვილი (მკვლელობის სურვილი), დეპრესია, სასოწარკვეთა (სიკვდილის სურვილი) და ცოდვიანობის განცდა (სურვილი, რომ იყოს მკვდარი).

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 100 ათასი კაციდან საშუალოდ 4-5 თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, სომხეთში ეს მაჩვენებელი ორჯერ ნაკლებია, აზერბაიჯანში კიდევ უფრო ნაკლები — 100 ათას მოსახლეზე მხოლოდ 0,6. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის მწირი მონაცემების მიუხედავად, საქართველოში 2008-2010 წლებში თვითმკვლელობის 368 შემთხვევა აღინუსხა, აქედან — 134 მამაკაცი, 27 კი ქალია.

ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა თვითმკვლელობის სარეგისტრაციო ჭდე, რომლის მიხედვით თვითმკვლელობის სიხშირის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ლიტვა. ათეულში მოხვდა სამხრეთ კორეა, იაპონია, რუსეთი, უკრაინა და ბელარუსია. იმავე მონაცემების მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საქართველოში. მსოფლიოს რეიტინგის მიხედვით საქართველო 107 ქვეყანას შორის 88-ე ადგილს იკავებს. თვითმკვლელობის შემთხვევების მიხედვით მნიშვნელოვნად გვისწრებენ ევროპის ქვეყნები, აშშ და სხვ..

ოფიციალური ინფორმაციით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში 6000-მდე ადამიანმა მოიკლა თავი. დასავლეთის ქვეყნებში თვითმკვლელთა შორისაა ქვრივი და არადაოჯახებული პირები, რომელთა შორის უპირატესად ხანშიშესული მამაკაცები ჭარბობენ. საქართველოში თვითმკვლელთა უმეტესობა შუახნის მამაკაცებია. მათ შორის თვითმკვლელობა განახორციელა რამდენიმე ათეულმა, 16-25 წლის ახალგაზრდამ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, წელიწადში დაახლოებით მილიონამდე ადამიანი ამთავრებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით, ესე იგი, ყოველ 40 წუთში მსოფლიოში ერთი ადამიანი იღუპება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპასა და აშშ-ში თვიმკვლელობის 30-70% დეპრესიითაა განპირობებული, აზიურ ქვეყნებში თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზებია ფსიქოლოგიური, სოციალური, ბიოლოგიური, კულტურული და გარემო ფაქტორები. უმეტესობა ფიქრობს, რომ თვითმკვლელობა არჩევანია, მაგრამ ეჭვი არაა, რომ გარდაცვლილებს ახასიათებდათ ფსიქიკური დარღვევები დეპრესიული მდგომარეობის გამო, ამიტომ საჭიროა ყურადღებით გამოვავლინოთ მათი ფსიქიმოციური დარღვევები, ავადმყოფური განწყობა და დროულად მოვახდინოთ მათი ფსიქოთერაპიული მკურნალობა.

სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2010 წელს საქართველოში სულ 113 თვითმკვლელობის შემთხვევა აღინუსხა, აქედან 15 იყო ქალი და 98 კაცი, მათ შორის 15 წლამდე ერთი მამაკაცია, 15-დან 19 წლამდე — 6 და 20 წლის ზემოთ — 15 ქალი და 91 მამაკაცი. 2011 წელს თვითმკვლელობის მიზეზით გარდაცვლილთა რაოდენობამ სულ 98 შეადგინა, აქედან 15 წლამდე 1 შემთხვევა იყო, 15-დან 19 წლამდე — 2 და 20 წლის ზემოთ — 95. 2012 წლის მონაცემებით, თვითმკვლელობის 102 შემთხვევა იყო აღრიცხული, 15 წლამდე — 1, 15-დან 19 წლამდე — 4, ხოლო 20 წლის ზემოთ — 97. საგულისხმოა, რომ მამაკაცები თვითმკვლელობის მიზნით უპირატესობას ანიჭებენ თავის ჩამოხრჩობას, იარაღით თავის მოკვლას, ან სიმაღლიდან გადმოხტომას. ქალები თვითმკვლელობის მიზნით უპირატესობას ანიჭებენ საძილე საშუალებებს, საწამლავებს, გაზსა და სხვ.

როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ადამიანები თვითმკვლელობას მაშინ მიმართავენ, როცა განიცდიან სოციალური ურთიერთობების დეფიციტს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პრობლემა მოულოდნელად წარმოიქმნება, მაგალითად, სამსახურის დაკარგვა, თამაშებში წაგებული თანხა ან ოჯახის დანგრევა.

სხვათა შორის, არსებული მონაცემების მიხედვით გარკვეული კავშირი არსებობს თვითმკვლელობის მაჩვენებელსა და თვითმკვლელების პროფესიულ დასაქმებას შორის. აღმოჩნდა, რომ სპეციალობების შორის თვითმკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ექიმებს შორის. წლების განმავლობაში, საშუალოდ 300-400 ექიმი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს. ქალი და მამაკაცი ექიმების თვითმკვლელობის მაჩვენებელი დაახლოებით თანაბარია. თვითმკვლელების მაჩვენებლის მიხედვით, სპეციალობებს შორის მეორე ადგილზეა იურიდიული პროფესიის ადამიანები.

არის მონაცემები, რომ არსებობს კორელაცია თამბაქოს მწეველებსა და თვითმკვლელობას შორის, მაგალითად, თამბაქოს მწეველებს შორის რომლებიც დღეში 24 ღერ სიგარეტს ეწევიან, თვითმკვლელობის რისკი ორჯერ იზრდება, 25 ღერზე მეტი სიგარეტის მწეველებს შორის კი რისკი დაახლოებით 4-ჯერ იზრდება.

თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევები (დაუსრულებელი **თვითმკვლელობა),** სამწუხაროდ, არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაურკვეველი რჩება მათი ფსიქოემოციური მდგომარეობა და თვითმკვლელობის მოტივაცია. დასანანია, რომ ასეთი შემთხვევების რეგისტრაცია პრაქტიკულად არ ხდება ოფიციალურ სამედიცინო დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა თვითმკვლელობის მცდელობის დამახასიათებელი ნიშნები: სევდიანი განწყობა, ნაღვლიანობა, მელანქოლიური, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა და მთელი რიგი დაავადებები, დარღვევები ბიოლოგიურად აქტიური ჰორმონებისა და ნეიროტრანსმიტერების რაოდენობრივ განაწილებაში და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი ნეიროტრანსმიტერული კორელატი თვითმკვლელებში აღმოჩნდა ბიოგენური ამინი სეროტონინი, რომლის რაოდენობრივი განაწილება ორგანიზმში მნიშვნელოვნადაა შემცირებული თვითმკვლელი და თვითმკვლელობის მცდელობის მქონე ადამიანების ორგანიზმში. სეროტონინის რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცრებული აგრეთვე ცხოველებისადმი აგრესიულად განწყობილ ბავშვებში და იმ მაიმუნებში, რომლებმაც დაკარგეს ლიდერობა ჯოგში, როგორც წესი, მათ აღენიშნებათ დეპრესიით გამოწვეული აგრესიული განწყობა (ნ. **ალექსიძე, 2014**). როდესაც არამკვლელი, ნორმალური ვირთაგვები ორი კვირის განმავლობაში გამოკვებეს სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავა ტრიპტოფანით ღარიბი პროდუქტით, არამკვლელი ვირთაგვები მკვლელები გახდნენ ბაყაყებისა და თაგვების მიმართ. ტრიპტოფანით მდიდარი საკვებდანამატით კვებისას ცხოველებმა დაკარგეს აგრესიულობა და მკვლელობის უნარი. აღნიშნულიდან გამომდინარე თვითმკვლელობისა და თვითმკვლელობის მცდელობის პრევენციის მიზნით სასურველია საკვებდანამატის სახით მივირთვათ ჰოლანდიური და მდნარი ყველის ბუტერბროდი, რომლებიც შესაბამისად საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავენ სეროტონინის წინამორბედ ამინომჟა ტრიპტოფანს, რომლიდანაც ჭარბი რაოდენობით წარმოიქმნება სეროტონინი. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიურ და მდნარ ყველში ტრიპტოფანის შემცველობა ყოველ 100 გრამში, შესაბამისად, 790 და 500 მილიგრამია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დეპრესიულ მდგომარეობას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადამიანთა ფსიქოემოციურ განწყობას.

დაახლოებით 40 წელია, რაც როგორც ცალკე მიმართულება ჩამოყალიბდა თვითმკვლელობის ფსიქიატრია. ეს ფაქტი თავისთავად ცხადყოფს, რომ თვითმკვლელობის შემთხვევები საკმაოდ გახშირდა და მედიკოსებისა და ფსიქოლოგებისათვის სეროზულ პრობლემად იქცა.

სამწუხაროდ, არსებობს შეუსაბამობა ჩვენს სურვილებსა და ჩვენს შესაძლებლობებს შორის, როცა ადამიანი ვერ ახდენს საკუთარი უნარების რეალიზებას, მას ეუფლება იმედგაცრუება, სასოწარკვეთა და უუნარობის შეგრძნება, დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი შებოჭილობა, რაც დეპრესიის განვითარების მუდმივი წყაროა, რომელიც თანდათან ღრმავდება და მისი დასასრული კი თვითმკვლელობაა.

ალბათ, ქრისტიანმა თვითმკვლელმა ადამიანმა კარგად უნდა გაითავისოს ეკლესიის უარყოფითი დამოკიდებულება თვითმკვლელებისადმი, რამეთუ ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი ანიჭებს და ღმერთივე განსჯის, თუ როდის გაიყვანოს ის ამ ქვეყნიდან. როდესაც ადამიანი ერევა ღვთის ნებაში, ის ამით ღმერთის მოწინააღმდეგე ხდება. თვითმკვლელებს ეკლესია ლოცვაში არ მოიხსენიებს. პანაშვიდს ვერ გადაუხდიან, წესს ვერ აუგებენ, წირვის დროს ვერ მოიხსენიებენ. ღვთის განმგებლობაში ვინც ერევა, ეკლესიური გაგებით, იგი პირდაპირ ჯოჯოხეთში ხვდება. ენდეთ ქრისტიანულ რწმენას და ის დაგიფარავთ თქვენ.

საქართველოში თვითმკვლელობის შემთხვევები 2006-2009 წლების მონაცემების მიხედვით, ძირითადად ზაფხულში, წლის თბილ თვეებში ხდება: მაისში 36, ივნისში 38 და ივლისში 32, რაც სრულ შესაბამისობაშია უცხოელ მკვლევრთა Lombroso (1889), Cang-ისა (1972) და Anderson-ის (1986, 1989) მონაცემებთან. ალბათ, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზამთარში მზის სხივების გავლენით ადამიანის ორგანიზმში სეროტონინის რაოდენობის არაადეკვატური მატების გამო საგრძნობლად მცირდება სტრესი და ფსიქოემოციური დაძაბულობა, შედეგად მცირდება მკვლელობის, თვითმკვლელობისა და თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევები. ისეირნეთ და ასეირნეთ ბავშვები ჰაერზე მზიან ზამთარში, ამით თქვენ გაუმჯობესებთ ბავშვების ჯანმრთელობას და მათ ფსიქოემოციურ განწყობას.

არის თუ არა თვითმკვლელობა კამიკაძისა და სხვა თვითმკვლელი ტერორისტების საქციელის ანალოგი? ნებისმიერ ქმედებას, რომელიც საკუთარი სიცოცხლის ხელყოფისკენაა მიმართული, შეგვიძლია, თვითმკვლელობა ვუწოდოთ, მიუხედავად იმისა, უწოდებს თუ არა იაპონელი კამიკაძე თვითმკვლელობას. კამიკაძის ქმედება რიტუალური თვითმკვლელობაა, ასეთ დროს იაპონელებს სჯერათ, რომ თვითმკვლელობით ისინი სულს ითავისუფლებენ.

და, ბოლოს, არშეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ტელევიზიით მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ გადაცემების ადამიანების ფსიქიკაზე უარყოფითი გავლენის შესახებ. ვინაიდან თვითმკვლელობა არაცნობიერი იმიტაციაა და რაშიც აქტიურად მონაწილეობენ **1992 წელს ჯაკომო პიცოლატის** მიერ თავის ტვინში აღმოჩენილი სარკისებრი ნეირონები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება განცხადებული ფაქტის იმიტაცია, როგორც **თანაგანცდის ჰუმანური აქტი — თვითმკვლელობა,** რაც, როგორც წესი, დამახასიათებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც არ არიან თვითდაჯერებულები და ცდილობენ, გაითავისონ სხვა ადამიანების ქცევა.

პირველი მითითება თვითმკვლელობის მიბაძვითი ხასიათის შესახებ ევროპაში გავრცელელდა მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში გამოქვეყნდა გოეთეს რომანი **„ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“** თვითმკვლელობის შესახებ, რაც **ვერტერის სინდრომის** სახელითაა ცნობილი და რაც გახდა ახალგაზრდებს შორის თვითმკვლელობის წამახალისებელი ფაქტორი, შედეგად გახშირდა თვითმკვლელობის შემთხვევები ახალგაზარდებს შორის. ამ ფაქტზე სერიოზული ყურადღება გაამახვილეს ფსიქოლოგებმა და მედიკოსებმა.

ამერიკაში სპეციალურად იქნა შესწავლილი თვითმკვლელობის შესახებ გადაცემული ინფორმაციის გავლენა ადამიანთა ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და თვითმკვლელობაზე. მაგალითად, თვითმკვლელობის შესახებ ტელეგადაცემის შემდეგ ამერიკაში ორი თვის განმავლობაში თვითმკვლელობის შემთხვევები 58-ჯერ გაიზარდა (ნ. ალექსიძე, 2014). 2013 წლის 80-იან წლებში მატარებლის ბორბლებში ჩავარდნის გზით „სტუდენტის სიკვდილის“ ტელევიზიით ჩვენების შემდეგ 15-19 წლის ახალგაზრდებში თვითმკვლელობა 200 %-თ გაიზარდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ავსტრალიაში, მეტროში თვითმკვლელობის შემთხვევების გახმაურების შემდეგ მნიშვნელოვნად გახშირდა თვითმკვლელობა მეტროში. მეტროს ადმინისტრაციამ აკრძალა „რელსებზე მკვლელობის“ ტელევიზიით ჩვენება და ერთი თვის შემდეგ მეტროპოლიტენში თვითმკვლელობის შემთხვევები სამჯერ შემ-

ციდა. არის მონაცემები, რომ თვითმკვლელობა ეფარდება განწყობას.. თუ გამოცხადებული იქნა თვითმკვლელობა ასაკოვანი ადამიანის შესახებ, თვითმკვლელობა მატულობდა ასაკოვან ადამიანებში, თუ თვითმკვლელობა ჩაიდინა სხვა სოციალური წრის წარმომადგენელმა, მაშინ თვითმკვლელობა გაიზრდა იმავე სფეროს წარმომადგენელებში. ამის გამო CNN-მა აკრძალა სატელევიზიო გადაცემებში გარდაცვლილებისა და სისხლიანი დანების ჩვენება. ალბათ დროა, ჩვენი ტელევიზიის წარმომადგენლებმაც მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილება, ვინაიდან ასეთი გადაცემები ანგრევს ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ფსიქიკას.

სამწუხაროა, რომ საქართველოს ტელეგადაცემებში მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები ფართოდ და დეტალურად შუქდება, რაც გახშირებული თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზია. სატელევიზიო გადაცემებში უჩვენებენ სისხლს, სისხლიან დანებს, გარდაცვლილებს, ჭრილობებს და სხვ. ტელეგადაცემების წამყვანი ჟურნალისტის შემდეგ, მკვლელობის შესახებ საუბრობენ მეზობლები, ახლობლები, შემდეგ ექიმი, რომელიც დაწვრილებით აღწერს, თუ რა სიღრმის და რამდენი ჭრილობა მიაყენეს დაზარალებულს, ბოლოს, პოლიციის წარმომადგენელი მსჯელობს დანაშაულზე და მოსალოდნელ განაჩენზე.

ალბათ, დროა საქართველოს ტელევიზიების მესვეურებმა დროულად გადადგან სათანადო ნაბიჯები მკვლელობისა და თვითმკვლელობის გამააქტიურებელი ინფორმაციის გავრცელების შეკავების მიზნით. სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია 5-6 მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ, თუ როგორ გარდაიცვალა ბავშვი შენობიდან გადმოვარდნის გამო, როგორ მოკლა შვილმა მამა, მამამ შვილი, ცოლი, ძმა და ასე შემდეგ. ან რა აუცილებლობაა, რომ ყოველდღიურად და ყოველ საათში მოვისმინოთ უცხოეთში ტერორისტების მიერ განხორციელებული აქტების შედეგად ასეულობით დაღუპული ადამიანების ჩვენება. არა მგონია, ამ ინფორმაციით დაინტერესებული იყოს მოსახლეობა, **ასეთი გადაცემების შედეგად იზრდება ადამიანების ფსიქოემოციური დაძაბულობა და შედეგად დეპრესიული მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს თვითმკვლელობის გახშირებას. ასეთი გადაცემების შედეგად ინგრევა ადამიანების ფსიქიკა და მერე გვიკვირს, თუ საიდანაა ამდენი აგრესიული განწყობა ადამიანებს შორის.**

ასეთ **ფსიქოემოციურ ფარულ განწყობას კიდევ უფრო ამძიმებს პარტიების ცალკეული წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის ლანძღვა და დაპირისპირება, დიახ, ეს ყოველგვარი სიძულვილი სატელევიზიო გადაცემებითაა გამოწვეული. გთხოვთ, გაუფრთხილდეთ საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობას, ასეთი სახის გადაცემები სიკეთეს არ მოუტანს მოქალაქეებს.** იქნებ დროა, გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ყველა გარდაცვლილი მოიხსენიებოდა გაზეთ „თბილისში“, სადაც თავის თანაგრძნობას გამოხატავდნენ ახლობლები, ნათესავები და მეგობრები. **იქნებ, უმჯობესია, სატელევიზიო მაუწყებლობამ გააფართოოს გადაცემები ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, ტექნოლოგიური ინოვაციების, სოფლის მეურნეობასა და მოდერნიზებულ კომპანიებში მიღწეული წარმატებების შესახებ. ვისაუბროთ იმის თაობაზე, თუ რამდენი ქარხანა აშენდა, რამდენი საწარმო გაიხსნა, რამდენი ახალი საწარმო ამოქმედდა, რამდენი ახალი კოოპერატივი შეიქმნა და რა წარმატებები აქვთ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს,** რომ კახელმა გლეხებმა ყურძნის ჩაბარების შედეგად 151 მილიონი ლარი მიიღეს და სხვ. უმჯობესია, ამ საკითხებზე ვესაუბროთ ადამიანებს, სამწუხაროდ, ეს იშვიათად ან საერთოდ არ ჟღერდება სატელევიზიო გადაცემებში. **დავიცვათ მოსახლეობა თავს მოხვეული უარყოფითი ემოციებისაგან, იქნებ დამშვიდდნენ ჩვენი მოქალაქეები, ნუ დავუნგრევთ მათ ფსიქიკას.**

ნუგზარ ალექსიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი

„აფხაზი ესტონელების“ ხვედრი ოკუპირებულ ტერიტორიაზე

ესტონური **გამოცემა „Postimees“-ის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში გადმოცემულია აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელთა მძიმე მდგომარეობა.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ იანუს პიირსალუს ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

„ზუსტად 25 წლის წინათ ესტონეთი, რომლის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დიდი დრო არ იყო გასული, აფხაზეთში მცხოვრებ თანამემამულეებს დაეხმარა და ომით მოცულ რეგიონში სამი სამგზავრო თვითმფრინავი გაგზავნა, ისტორიულ სამშობლოში ესტონელების დასაბრუნებლად. იმ დროს ესტონეთი შედარებით სუსტი იყო და მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, დღეს კი, შედარებით მდიდარმა ესტონეთმა აფხაზეთში ჯერ კიდევ დარჩენილი თავისი თანამემამულეები სრულიად დაივიწყა. სხვადასხვა მონაცემებით, მათი რაოდენობა 250-300-ს აღწევს, მათ ესტონური ენა არ დავიწყნიათ და ახსოვთ ტრადიციებიც“.

„ჩვენ აქ მიტოვებულები ვართ, არავის აღარ ვახსოვართ. სამშობლო ჩვენ მიმართ გულგრილობას იჩენს... უბედურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. როცა ჩვენს წუხილს გამოვხატავთ, გვეუბნებიან — ხომ იცით, ეს პოლიტიკური საკითხია“, — ასე ამბობენ „Postimees“-ს კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთში დარჩენილი ესტონელები.

„აფხაზი ესტონელების პრობლემა იქიდან იწყება, რომ აფხაზეთი — მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისა და მათ შორის ესტონეთის პოზიციის თანახმად, საქართველოს ნაწილად ითვლება, თუმცა 1993 წლიდან, ომის შემდეგ, თბილისი აფხაზეთს ვეღარ აკონტროლებს. დე ფაქტოდ აფხაზეთი უკვე 24 წელია, დამოუკიდებელია, 2008 წელს კი მისი სუვერენიტეტი რუსეთმა აღიარა“, — აღნიშნულია სტატიაში.

„აფხაზეთში რომ იცხოვრონ, ესტონელებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ჯერ აფხაზური, შემდეგ რუსული პასპორტი. არადა, რუსული პასპორტის ქონა, თავის მხრივ, ესტონელ სახელმწიფო ჩინოვნიკებს ძალიან აღიზიანებთ, რომელთა აზრით, აფხაზ ესტონელებს რომ ქართული დოკუმენტები ჰქონდეთ, მაშინ მათი პრობლემა შედარებით იოლად მოგვარდებოდა. უფრო მეტიც — დღეს საქართველოს უვიზო რეჟიმი აქვს ევროკავშირის ქვეყნებთან. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ რაც ესტონელ ჩინოვნიკებს იოლი ჰგონიათ, აფხაზეთში მყოფი ესტონელებისთვის ძალიან ცუდი იქნება: ქართული პასპორტების აღება მათთვის სრულ იზოლირებას ნიშნავს, მათ ყოველდღიური პრობლემები გაუჩნდებოდათ აფხაზეთის ხელისუფლებასთან. რუსული პასპორტის ქონა კი ესტონელებს საშუალებას აძლევს რუსული პენსია მიიღონ, რაც სიცოცხლისთვის ესოდენ აუცილებელია (აფხაზური პენსია ყველაზე მცირეა მსოფლიოში — 500 რუბლი, ანუ 7,5 ევრო თვეში, რუსული პენსია კი 10 ათას რუბლამდეა, ანუ 150 ევრომდე). აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელთა უდიდესი ნაწილი კი მოხუცები არიან, მათ რუსული პენსია ძალიან წაადგებათ.

ესტონეთში რომ დაბრუნდეს (ან დროებით ეწვიოს), „აფხაზმა ესტონელმა“ ჯერ აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი უნდა გადაკვეთოს, შემდეგ კი (სოჭიდან თვითმფრინავით ან მატარებლით) — რუსეთ-ესტონეთის საზღვარი. თუ პირველს აფხაზური პასპორტით გადაკვეთ, მეორეს გადასაკვეთად უკვე რუსული ან უფრო ხშირად ესტონური პასპორტი გჭირდება. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ესტონელებს აქვთ. რაც შეეხება ესტონეთში წასასვლელი ვიზის აღებას, ეს ისეთი პრობლემაა, რომ მასზე შეიძლება საათობით ილაპარაკო... ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ სავიზო ცენტრების შექმნის თაობაზე „აფხაზ ესტონელთა“ მდგომარეობის დამძიმება გამოიწვია. კრასნოდარში არსებულ სავიზო ცენტრში ვიზის აღება ოთუზბირი ღირს, იკარგება თანხა, დრო...

კორესპონდენტი ესაუბრება სოფელ დოპუკიტში (ახლა ასე ჰქვია ყოფილ ესტონკას) მცხოვრებ ოსკარ ტრუმანს, 80 წლის ესტონელს, რომელიც ბოლო დროს ესტონეთში ექვსი წლის წინათ იყო უმცროსი და-ძმის სანახავად. „ვიზის ვადები ამოიწურა, ვეღარ მივდივარ“, — ამბობს ოსკარი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ხშირად ჩადიოდა სამშობლოში — იგი „ტუ-134“-ის პილოტი იყო და სოხუმიდან ტალინში ყოველ კვირას დაფრინავდა. სულ ბოლოს 1989 წელს იფრინა, სოხუმის აეროპორტი ოსკარის სახლიდან ათ კილომეტრში მდებარეობს.

სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს „აფხაზი ესტონელების“ მდგომარეობა ვიზების იოლად მიღების თვალსაზრისით — ისე, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით არ გაუარესდეს ესტონეთ-საქართველოს ურთიერთობა: ეს შეიძლება მოხდეს რუსეთ-ესტონეთის 1920 წლის ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დღესაც ძალაშია...

„Postimees“ (ესტონეთი)

ელტონ ჯონი დააჯილდოვეს

ინტერკულტურული **და** **რასობრივი ურთიერთობების ჰარვარდის ფონდმა ელტონ ჯონი შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. საზეიმო ცერემონია კემბრიჯში გაიმართა. გრემის მფლობელმა მომღერალმა შიდსით ინფიცირებულებისა და პრევენციული ღონისძიებების ფონდი 1992 წელს დაარსა და მას შემდეგ 385 მილიონი დოლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღო.**

სალვადორის სანაპიროებთან ზღვამ დახოცილი კუები გამორიყა



ელ-სალვადორში **გადაშენების პირას მყოფი სახეობის ასობით კუ წყნარი ოკეანის სანაპიროზე იპოვეს.**

მათი დაღუპვის მიზეზს პოლიცია ეკოლოგებთან ერთად იძიებს.

სანაპიროზე აღებული წყლის სინჯები ლაბორატორიაში გადაიგზავნა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უნიკალური სახეობის კუების დაღუპვის მიზეზი წყლის დაბინძურება გახდა.

კუბას ტურისტები იპყრობენ

კუბამ **წელს 4 მილიონზე მეტი ტურისტი მიიღო. ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი შარშანდელს 25-ჯერ აღემატება. ტურისტული ნაკადის ზრდას თავისუფლების კუნძულზე ხელი ვერც ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, მათ შორის, ქარიშხალმა „ირმამ“ შეუშალა. ჰავანაში იმედოვნებენ, რომ წლის ბოლომდე კიდევ ერთ მილიონამდე ტურისტის მიღებას მოასწრებენ.**

კიევმა ლუგანსკს წყალი შეუწყვიტა

კიევმა **ლუგანსკს წყლის მიწოდება შეუწყვიტა. ამის შესახებ სააგენტო რია ნოვოსტის ლუგანსკის ენერგეტიკული გაერთიანებიდან აცნობეს. გავრცელებული ინფორმაციით, წყალმომარაგების შეწყვეტის მიზეზი ელექტროენერგიის გადასახადი გახდა. ოფიციალური კიევის ინფორმაციით, დავალიანება ამ დროისათვის 157 მილიონ გრივნას შეადგენს.**

ტრამპი სეულს სტუმრობს

შეერთებული **შტატების** **პრეზიდენტი 12-დღიანი აზიური ტურნეს ფარგლებში სამხრეთ კორეას ესტუმრა. ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრამდე თეთრი სახლის ლიდერი ამერიკულ სამხედრო ბაზას ეწვია, რომელიც ჩრდილოეთ კორეის საზღვრიდან 100 კილომეტრში მდებარეობს. დონალდ ტრამპმა სამხედროებთან ერთად ისადილა. თეთრი სახლის ლიდერის ვიზიტი ჩრდილოეთ კორეის მხრიდან მომდინარე ბირთვული საფრთხის ფონზე სეულის მხარდაჭერის დემონსტრირებაა. სწორედ ეს თემა იქნება აშშ-ის პრეზიდენტისა და სამხრეთ კორეის ხელისუფლების მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საგანი.**

ჭადრაკი

უკრაინას გაუსწრეს, მაგრამ...

შვიდი მოგება და ორი მარცხი – ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა (ნანა ძაგნიძე, ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, კაპიტანი და მწვრთნელი ელიზბარ უბილავა) ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელსაც კუნძულმა კრეტამ (საბერძნეთი) უმასპინძლა. ჩვენმა მანდილოსნებმა რვა ტურში დაამარცხეს ბელარუსი (2.5:15), საფრანგეთი (3.5:05), უნგრეთი (3:1), სომხეთი (4:0), უკრაინა (2.5:1.5), ესპანეთი (4:0) და ორი მატჩი დათმეს რუსეთსა (1.5:2.5) და პოლონეთთან (1:3). ბოლო ტურის პაექრობას უნდა გადაეწყვიტა ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების ბედი. ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდეს რუსებმა (ალექსანდრა კოსტენიუკი, კატერინა ლაგნო, ვალენტინა გუნინა, ოლგა გირია, ალექსანდრა გორიაჩკინა). დასკვნით რაუნდში საქართველოს ნაკრებმა იტალიის გუნდს აჯობა 3.5:0.5 (ნანა ძაგნიძე პირველ დაფაზე ოლგა ზიმინას დაუზავდა, ხოლო ნინო ბაციაშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა და სალომე მელიამ, შესაბამისად, ელენა სედინა, დესი დი ბენედეტო და თეა გუესი დაამარცხეს) და 14 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. **დაფების მიხედვით მონაგარი:** ნანა ძაგნიძე – 4.5 (8 პარტიიდან), ნინო ბაციაშვილი – 5 (8), ბელა ხოტენაშვილი – 6.5 (8), ლელა ჯავახიშვილი – 4.5 (7), სალომე მელია – 4.5 (5). პოლონეთის ნაკრებმა რუმინეთთან წააგო – 1:3. ბრინჯაოს მედლებს უკრაინელები დაეუფლნენ, რომლებმაც თურქებს 4:0 აჯობეს და გუნდური 13 ქულა მოაგროვეს.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა (ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, დავით ჯოჯუა, ლუკა პაიჭაძე, კაპიტანი და მწვრთნელი ზურაბ სტურუა) საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. ტურნირზე ოთხი შეხვედრა მოიგო (მაკედონიასთან – 3:1, ისლანდიასთან – 3.5:0.5, იტალიასთან – 3:1, ფინეთთან – 2.5:1.5), ერთი მატჩი ფრედ დაასრულა (რუმინეთთან – 2:2) და ოთხი ორთაბრძოლა დათმო (ჩეხეთთან – 1.5:2.5, ისრაელთან – 1.5:2.5, თურქეთთან – 1.5:2.5 და ესპანეთთან – 0.5:3.5), 18 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა და მე-19 ადგილს დასჯერდა. **ნაკრების წევრთა წვლილი:** ბაადურ ჯობავა – 2.5 (7), მიხეილ მჭედლიშვილი – 3.5 (7), ლევან ფანცულაია – 5 (7), დავით ჯოჯუა – 4 (8), ლუკა პაიჭაძე – 4 (7).

ჩემპიონატზე 14-14 ქულით ვაჟებში პირველი-მეორე ადგილები აზერბაიჯანმა და რუსეთმა გაიყვეს. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით ჩემპიონობა აზერბაიჯანელებს (შაჰრიარ მამედიაროვი, თეიმურ რაჯაბოვი, არკადი ნაიდიჩი, რაუფ მამედოვი, გადირ ჰუსეინოვი) ხვდათ. 13 ქულით ბრინჯაო აქაც უკრაინელებმა დაიმსახურეს. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეოთხე ადგილზე ხორვატები გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

ფოტოზე: საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები: მარჯვნიდან – ნინო ბაციაშვილი, ბელა ხოტენაშვილი და ლელა ჯავახიშვილი.

ფეხბურთი

სეზონის ფინიშზე

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა წლის ბოლო ამხანაგური მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ვლადიმირ ვაისის გუნდი სასტუმრო „ჰუალინგში“ არასრული შემადგენლობით შეიკრიბა. პირველი ვარჯიში თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ს.კ. „ზესტაფონის“ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა და მასში 12 ფეხბურთელი მონაწილეობდა: გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე, ლევან გეგეჭკორი, გია გრიგალავა, ლაშა შერგელაშვილი,ჯაბა კანკავა, ჯაბა ჯიღაური, გიორგი მერებაშვილი, გიორგი აბურჯანია, გიორგი ქვილითაია, ნიკა კაჭარავა და ირაკლი სიხარულიძე. ეროვნულ ნაკრებს კიდევ 11 ლეგიონერი გუშინ შეუერთდა.

გაგაცნობთ ეროვნული ნაკრების შემადგენლობას,რომელიც კვიპროსისა და ბელარუსის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

მეკარეები: გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან გეგეჭკორი (დინამო, თბილისი), გია გრიგალავა (არსენალი, ტულა, რუსეთი), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი) დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა) გიორგი ნავალოვსკი (სკა ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ჯაბა კანკავა (უკლუბოდ), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), გიორგი მერებაშვილი (ვისლა, პლოცკი, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე ერსქვიკსი, აშშ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი, თბილისი).

საქართველო – კვიპროსის მატჩი გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე 10 ნოემბერს 17 საათზე დაიწყება, ხოლო საქართველო – ბელარუსის შეხვედრა ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე 13 ნოემბერს 18 საათზე შედგება.

გიორგი ზოთაძე

რაგბი ჩვენი თამაშია!

„ნეკერჩხლებს“ თბილისში ველით

საქართველოს ნაკრების პირველ საშემოდგომო ტესტ-მატჩამდე სამი დღეღა დარჩა. „ბორჯღალოსნები“ 11 ნოემბერს სერიას „დინამო არენაზე“ კანადის ნაკრებთან შეხვედრით გახსნიან, ამ სტატიაში კი ვეცდებით, რომ ჩვენი მომავალი მეტოქე შედარებით უკეთესად გაგაცნოთ.

კანადა მსოფლიო თასებზე

„ნეკერჩხლებს“ რვავე მსოფლიო თასზე აქვთ მონაწილეობა მიღებული და მათი საუკეთესო შედეგი 1/4 ფინალში გასვლაა, რომელსაც 1991 წელს მიაღწიეს – მაშინ კანადელებმა ფიჯი (13:3) და რუმინეთი (19:11) დაამარცხეს, საფრანგეთთან ბრძოლაში (13:19) წააგეს და მე-2 ადგილით ფლეი-ოფს უწიეს, სადაც ახალი ზელანდიის ნაკრებთან 13:29 დამარცხდნენ.

კანადელები მსოფლიო თასზე გარკვეულ წარმატებას ყოველთვის აღწევდნენ. 1987 წელს ტონგას დამაჯერებლად 37:4 მოუგეს, 1995 წელს რუმინეთს სძლიეს დიდი ანგარიშით (34:3), 1999 წელს ნამიბია გაანადგურეს (72:11), 2003 წელს კი კვლავ ტონგას მოუგეს (24:7) და იტალიასთანაც ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ 14:19 დამარცხდნენ.

2007 წელს ჩრდილოამერიკელებმა გამარჯვება ვეღარ მოახერხეს, თუმცა, ქულები მაინც აიღეს: იაპონიის ნაკრებთან ფრედ 12:12 ითამაშეს, მომდევნო მსოფლიო თასზე კი კანადელებმა კვლავ ტონგა გაამწარეს, რომელმაც შემდგომ ძალიან დიდი სენსაცია მოახდინა და საფრანგეთის ნაკრებს მოუგო, მაგრამ ჯგუფიდან სწორედ კანადასთან მარცხის გამო ვერ გავიდა. გარდა ამისა, „ნეკერჩხლებმა“ ერთი მატჩი ფრედ დაასრულეს და ისევ იაპონიასთან.

2015 წლის მსოფლიო თასი კანადისთვის ყველაზე წარუმატებელი გამოდგა – გუნდმა ყველა თამაში დათმო: ირლანდიასთან (7:50) და საფრანგეთთან (18:41) დიდი ანგარიშით წააგო, ხოლო იტალიასთან (18:23) და რუმინეთთან (15:17) ბრძოლაში დამარცხდა. კანადელები 53-ე წუთისთვის 15:0-ს უგებდნენ რუმინეთს, თუმცა, დარჩენილ დროში ორი გარდასახული ლელო და ერთი ჯარიმა გაუშვეს და ხელმოცარულნი დარჩნენ.

ამრიგად, კანადას მსოფლიო თასზე სულ 29 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც 7 მოიგო, 2 ფრედ ითამაშა და 20 წააგო.

დღევანდელი მდგომარეობა

კანადის ნაკრებს მძიმე პერიოდი უდგას, რადგან რაგბი ძველებურად ვეღარ ვითარდება და ეს ბევრი რამიდან ჩანს: 2015 წლის მსოფლიო თასზე პირველად წააგო ყველა შეხვედრა, მსოფლიო რაგბის რეიტინგში 24-ე ადგილზეა და ამაზე ქვემოთ არასდროს ყოფილა. მასზე ზემოთ ამ მომენტში ისეთი ნაკრებები იმყოფებიან, როგორებიც არიან: გერმანია, ჰონგ კონგი, რუსეთი, ესპანეთი, ნამიბია. ზაფხულში ამერიკის ნაკრებთან მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში დამარცხდა და ახლა იაპონიის საგზურისთვის ურუგვაისთან მოუწევს ბრძოლა,

რომელიც ამ მომენტისთვის მასზე 6 საფეხურით მაღლა იმყოფება.

კანადელი ლეგიონერები

კანადელთა უმრავლესობა ადგილობრივ ჩემპიონატში თამაშობს, თუმცა, ჰყავთ გამორჩეული ლეგიონერებიც, რომლებიც წამყვან ლიგებში ასპარეზობენ: მესამეხაზელი ტილერ არდრონი 2013-2017 წლებში უელსურ „ოსპრეიზში“ თამაშობდა, ახალ ზელანდიას მიაშურა და „ბაი ოფ ფლენთიში“ ჩაირიცხა, რომელიც მიტრე 10-ში გამოდის. რაც მთავარია, ის ფრანჩიზის „ჩიფსის“ განაცხადში მოხვდა და 2018 წელს სუპერ რაგბიში ექნება დებიუტი.

ასევე მიტრე 10-ში თამაშობს მეორეხაზელი ჯოშ ლარსენი, რომელიც „ნორთლენდის“ ღირსებას იცავს. ტოპ 14-ის„პოში“ ირიცხება 21 წლის ბურჯი მეტ ტერნი. ვან დერ მერვეზე როგორც ითქვა, ავივა პრემიერშიფის „ნიუკასლ ფალკონსში“ თამაშობს, ხოლო კიდევ რამდენიმე მორაგბე ინგლისის ქვედა ლიგებში გამოდის.

საქართველოსთან ურთიერთშეხვედრები

„ნეკერჩხლებს“ და „ბორჯღალოსნებს“ ერთმანეთის წინააღმდეგ 6-ჯერ უთამაშიათ. სამი შეხვედრა კანადელებმა მოიგეს, სამი – ჩვენ.

კობა კობახიძე

ინტერნეტიდან

ჟიზელმა რუსეთი იუარა

თუ გახსოვთ, ადრეც გაუწყებდით, რომ რაკი რუსეთში გასამართი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ღონისძიებაზე ტურნირის ორგანიზატორებმა ბანოვანნი მთელი მსოფლიოდან მიიწვიეს, ამას ურუსთა ქვეყნის ასულთა პროტესტი მოჰყვა და ეს გადაწყვეტილება ზოგმა სლავ ლამაზმანთა დამცირებადაც კი მიიჩნია.

როგორც ჩანს, სიტუაცია ამ კუთხით არც ისე მარტივია, რადგან ცოტა ხნის წინათ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ბრაზილიელმა მოდელმა ჟიზელ ბუნდჰენმა თავად განაცხადა, რუს ასულთა ცოდვაში ფეხის ჩადგმა არ მსურს და თავად ვამბობ მუნდიალში მონაწილეობაზე უარსო. ბუნდჰენს თურმე სხვა შხვართებმაც მიბაძეს და, მოკლედ, არის ახლა ერთი ეჭვიანობა და მკითხაობა – რატომ მოხდა ეს ყოველივე. რუსეთში ამბობენ, მავანმა ოლიგარქებმა უცხოელ ტურფებს უარის სანაცვლოდ გვარიანი თანხები გადაუხადესო და, კაცმა რომ თქვას, ამას რატომაც არ იზამდნენ?!.

როსტომ რაჭველიშვილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქ. №109;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, ერეკლე II ქ. №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 17831,52 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 22 ნოემბერი, 12:15 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68;
ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის 3 მ/რ, კორპ. 13, ბინა №35;
გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;
შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწითურის 49;
შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 22 ნოემბრის 12:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზინაიდა ჯანიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზინაიდა ჯანიაშვილი (პ/ნ 01005014617), თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 14, ბინა №25.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 14, ბინა №25 (საკადასტრო კოდი: 01.13.03.016.006.01.025).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 81750.92 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 8 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 22 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP47911217;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 479112
6. **მოვალე:** გიორგი ჯანიაშვილი (პ/ნ 01006013711), თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 14, ბინა №25.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47911217; ლოტის ნომერი: 479112).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 22 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სააკაშვილთან ერთად ჟურნალისტებიც დაჯარიმეს

ლვოვის ოლქის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილთან ერთად უკრაინის სახელმწიფო საზღვრის გამშვები პუნქტი „შეგინის“ უკანონოდ გადაკვეთისთვის ჟურნალისტები დააჯარიმა.

უკრაინული გამოცემა „გლავკომის“ ინფორმაციით, ჯარიმები დააკისრეს ამერიკელ რეჟისორებს ბრაიან ჯეიმს ენდრიუს და კლემენტს მარლი დენიელს, უკრაინული გამოცემა სტრანა უა-ს მთავარი რედაქტორის მოადგილეს სვეტლანა კრიუკოვას, ნოვინი 24-ის ჟურნალისტს ანგელინა პიჩიკს, პროდიუსერს ალექსეი ხუდენცოვს, ოპერატორს მარკ გავრილოვს, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებს თომა ჩაგელიშვილს და თამარ ბაღაშვილს, ოპერატორებს გიორგი ჩიკვილაძეს და დათუნა მაისურაძეს, დოკუმენტური ფილმების პროდიუსერს გიორგი ჩადუნელს. სასამართლოს გადწყვეტილებით, თითოეულმა პირმა უკრაინის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის 3,4 ათასი გრივნა უნდა გადაიხადოს, რაც დაახლოებით 130 აშშ დოლარს უდრის. უკრაინის საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის დაკისრებული ჯარიმა მიხეილ სააკაშვილმა უკვე გადაიხადა.

„სილქ როუდ ჯგუფი“ თანაინვესტირების ფონდთან ერთად „სილქ თაუერს“ ააშენებს

„სილქ როუდ ჯგუფმა“ ბათუმში „სილქ თაუერის“ მშენებლობა დააანონსა. პროექტის ფინანსური პარტნიორია საქართველოს თანაინვესტირების ფონდი.

„სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებლის გიორგი რამიშვილის განცხადებით, ჯგუფი უკვე ათ წელზე მეტია, საქართველოში ახორციელებს ინვესტიციებს და ამ დრომდე საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, დაახლოებით 600 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელეს.

„ჩვენს საინვესტიციო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აჭარის რეგიონს, სადაც 90 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განვახორციელეთ არაერთ პროექტში, მათ შორის სასტუმრო „რადისონში.“

„ჩვენი პარტნიორია საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, რომელიც ამ პროექტის თანადაფინანსებაში მიიღებს მონაწილეობას“, – აცხადებს გიორგი რამიშვილი. ამ ეტაპზე „სილქ როუდ ჯგუფის დაკვეთით საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „სერვოტელმა დაასრულა ბაზრის კვლევა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავება.

ბრიტანეთის საბჭოს და ევროპული სკოლის უპრეცედენტო თანამშრომლობა

3 ნოემბერს „ევროპულ სკოლასა“ და ბრიტანეთის საბჭოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება ინგლისური ენის სწავლა-სწავლების ბრიტანული მოდელის დანერგვის თაობაზე. საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში ჯასტინ მაკკენზი სმიტი.

ღონისძიება გახსნა „ევროპული სკოლის აკადემიურმა დირექტორმა სოფიო ბაზაძემ, რომელმაც ისაუბრა მოსწავლეთა და მასწავლებლებისთვის ამ უპრეცედენტო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. „ევროპული სკოლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გელა ბეჟუაშვილმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით სკოლის დამფუძნებელთა მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ გაამახვილა ყურადღება და ამ ჭრილში განიხილა ახალწამოწყებული პროექტი. პროექტის დეტალები დამსწრე საზოგადოებას ბრიტანეთის საბჭოს, დირექტორმა ზაზა ფურცელაძემ გააცნო. მან იმედი გამოთქვა, რომ „ევროპული სკოლისა“ და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობა უაღრესად სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლის პედაგოგებისთვის. დამსწრეთ ბრიტანეთის ელჩმაც მიმართა. მან მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის აქტიური საგანმანათლებლო კავშირების მნიშვნელობა და გამოთქვა სურვილი, კიდევ უფრო გააღრმაოს ამ მიმართულებით თანამშრომლობა. მისი აზრით, „ევროპული სკოლისა“ და ბრიტანეთის საბჭოს საგანმანათლებლო პროექტი არის დიდი მნიშვნელობის წამოწყება, რომელიც ზოგადად საქართველოს მოუტანს წარმატებას.

ბოლო 10 თვეში - 61 მლნ ბოთლი ღვინო

2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოდან მსოფლიოს 50 ქვეყანაში ექსპორტირებულია 61 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 134,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 52%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი – 41% (6 086 733), რუსეთი – 87% (38 355 125), უკრაინა – 48%(6 237 652), პოლონეთი – 18% (2 151 342), ლატვია – 31% (1 279 718), ბელარუსი – 42% (1 318 852), აშშ – 68% (394 464), გერმანია – 57% (367 342), ისრაელი – 149% (180 824), საფრანგეთი – 187% (98 194), აზერბაიჯანი 76% (102 342) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი – 38355125, უკრაინა – 6237652, ჩინეთი – 6086733, ყაზახეთი – 2671845 და პოლონეთი 2151342 ბოთლი. ამასთან, მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13630421 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 91%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 29,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 219 183 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 198% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 664,6 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 154%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 222,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს – ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 50% შეადგინა.

ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ, ᲔᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე **ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲐᲕᲓᲘᲓᲘᲡ ᲫᲔ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ**.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა XX საუკუნის დიდ სამოციანელთა გუნდის ერთ-ერთი უპირობო ლიდერი, გუნდისა, რომელმაც ახალი ფერებით, ახალი წახნაგებით გაამდიდრა ათასექვსასწლოვანი ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, განვითარებისა და წინსვლის ახალი გზები და ორიენტირები დაუსახა და ათწლეულების განმავლობაში მედროშედ, მებაირახტრედ მოევლინა თანამოკალმეებს... ჯანსუღ ჩარკვიანი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მუდამ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა და ხმალამოღებული იცავდა იმ ტრადიციებს, რომლებმაც აქამომდე მოიყვანა მისი საესავი სამშობლო...

ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1931 წლის 30 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში.

1951 წელს, თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ჯანსუღ ჩარკვიანი, ეს ჭეშმარიტი ერისკაცი და სრულიად საქართველოს მეცხოვნე, დიდ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა; სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ კორექტორად, ლიტმუშაკად, პასუხისმგებელ მდივნად, თორმეტი წელი კი „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი იყო. ამავე დროს მუშაობდა ჟურნალების „დილისა“ და „დროშის“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად. როგორ შეიძლება, სიამაყის გრძნობით არ აღინიშნოს, რომ მისი რედაქტორობის ჟამს ჟურნალი „ცისკარი“ ქართული სულიერების ოაზისად იქცა. ბოლო წლებში ჯანსუღ ჩარკვიანი მისსავე დაარსებულ გაზეთ „ქართულ სიტყვას“ ხელმძღვანელობდა და იქაც ქართულ სიტყვას, ქართულ სულიერებას ემსახურებოდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატად, გამსახკომის კოლეგიის წევრად, ჟურნალების „მნათობისა“ და „ნიანგის“ რედკოლეგიების წევრად, მსოფლიოს პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრის დამფუძნებლად და პირველ პრეზიდენტად, საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტად... ყველგან, სადაც კი იღვაწა ჯანსუღ ჩარკვიანმა, ყველგან თავისი კვალი დაამჩნია, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, ჭეშმარიტად კაცთმოყვარე პიროვნებამ და მოქალაქემ...

ჯანსუღ ჩარკვიანის სამწერლო დებიუტი 1951 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ალმანახ „პირველ სხივში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნა. ამ ლექსებმა ყველას დაანახვა, რომ მაშინდელ ქართულ პოეზიას მოევლინა დიდად ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც საქართველოს უერთგულეს, უებრო სამსახურს მთელი სიცოცხლე უძღვნა ზვარაკად.

და რა გასაკვირია, თუ ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟკაცური, ომახიანი და, ამავე დროს, უნაზესი ლირიზმით გამსჭვალული პოეზია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა სინათლისა და სისადავისთვის, ლირიკული ელვარებისთვის, ფრაზის სინატიფისთვის, მუსიკალობისთვის, ფერადოვნებისთვის...

ჯანსუღ ჩარკვიანი დიახაც რომ პოეტი-ტრიბუნი იყო და თავისი ხაფი ხმით მუდმივად აფხიზლებდა თანამოძმეთ, მოდუნების საშუალებას არ აძლევდა და ქართველობას თავისი არსებობით შეახსენებდა, რომ ნებისმიერი ტირანიის, დიქტატურისა თუ ავტოკრატიის პირობებშიც კი თავისუფლებისაკენ, თავისთავადობისაკენ, ქედუხრელობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ქართველი კაცის ხასიათის, ზნეობის ლიბოს წარმომადგენდა და წარმოადგენს დღესაც.

მისი პოეზია მუსიკალობით გამოირჩეოდა და ამიტომაც მის ლექსებზე არაერთი დიდებული სიმღერა შეიქმნა. მათ უმრავლესობას ბატონი ჯანსუღის დიდად ნიჭიერი ვაჟიშვილი მამუკა ქმნიდა და თავად ასრულებდა ისე შთამბეჭდავად, რომ ის ღვთაებრივი ჰანგები მტლედ და სალბუნად ედებოდა ჩვენს სულსა და გულს.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიას ორგანულად ერწყმოდა მისივე მებრძოლი პუბლიცისტიკა, პროზაული ნაწარმოებები, ჯანსუღისეული ვაჟკაცობისა და შემართების დასტური.

ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებას დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ინგლისელი და გერმანელი, ფრანგი და იტალიელი, პოლონელი და რუსი, ჩეხი და სერბი, ხორვატი და ბულგარელი, უკრაინელი და სომეხი, იაპონელი და აზერბაიჯანელი, ესპანელი და უნგრელი მკითხველები...

მშობელი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანის პატრიოტიზმი არასოდეს გადაზრდილა შოვინიზმში, სხვა ერთა სიძულვილში. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, თუ რა დიდი სიყვარულით თარგმნა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას, ივან დრაჩისა და ვიტალი კოროტიჩის, ალექსანდრ პუშკინისა და ბორის პასტერნაკის, ბელა ახმადულინასა და ევგენი ევტუშენკოს, ჰაინრიჰ ჰაინესა და ეუჯენიო მონტალეს, ბულატ ოკუჯავასა და სილვა კაპუტიკიანის, ოვანეს თუმანიანისა და ნარიმან ჰასან-ზადეს ლექსები...



ჭეშმარიტად სახალხო პოეტი იყო. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, სრულიად სომეხთა პრემია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება. ქართული პოეზიის რაინდი გახლდათ და ღირსეულად ატარებდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენებს. არჩეული იყო თბილისის, მცხეთის, სოხუმის და ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.

ჯანსუღ ჩარკვიანი უყვარდათ მის კოლეგებს, მის მკითხველებს, მის მშობელ ერს, უყვარდათ იმიტომ, რომ მტკიცე და შეუვალი იყო მისი რწმენის კედელი, რომლის დუღაბიც საქართველოს უპირველეს შვილთა სისხლით იყო განსპეტაკებული. ამ რწმენის კედელს ბატონი ჯანსუღი მთელი ცხოვრების განმავლობაში აგებდა და ახალი ქონგურებით ამაგრებდა...

წავიდა ჩვენგან ეს დიდებული პოეტი, პიროვნება, ერისკაცი და თან ჩვენი — მისი თანამოკალმეებისა და თაყვანისმცემლების, ქართველი ხალხის დაუმადლებელი ცრემლი გაიყოლია, ის პატიოსანი ცრემლი, ხშირად კათარსისის მაუწყებელი რომ არის ხოლმე...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲡ

...არ გიძებნია ცხოვრება მშვიდი,
შენ სხვანაირი არ გწამდა ბედი;
თუ რამეს წერდი, თუ რამეს შლიდი
მამულისათვის შლიდი და წერდი...

მხრებზე გეკიდა დრო-ჟამის ლოდი
და ეკლის გზებზე შემდგარი ოდით,
შენი ბედკრული სამშობლოსათვის
მამაზეციერს გაძლებას სთხოვდი...

იყო გრიგალი და იყო დელგმა,
იყო რწმენა და იყო ღალატიც,
მაინც გმირულად ელავდა ყველგან
შენი ფარ-შუბი და მუზარადი...

და მწვერვალისკენ გეჭირა თვალი,
წინ გასავლელი გელოდნენ გზები;
გადაუხდელი გიხმობდა ვალი,
შესაწამლავი გიხმობდნენ ზვრები...

შორს, მზის სხივებში წვანან ქედები,
ქარს მიაქვს სევდა, როგორც ნაცარი;
ისევ დგას შენი რწმენის კედელი,
ისევ დგას შენი ლექსის ტაძარი!

ᲑᲐᲚᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ, ᲯᲐᲜᲡᲣᲚ!

ვისაც შენს დიდკაცობაში
შეუტანია ეჭვი,
შენმა „ლამაზმა სიკვდილმა“ სუყველა
დასცა ბეჭით.
გემშვიდობებით დასტაქარ მგოსანს
სამშობლოს მწვავე ტკივილებისთვის
ცხებაში ძალზე ბეჯითს.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲘᲜᲯᲘᲐ
2017 წლის 6 ნოემბერი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული მამულიშვილის, აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული ჭეშმარიტი პატრიოტის, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გამოჩენილი ქართველი პოეტის, ღირსების ორდენის კავალერის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, გალაკტიონ ტაბიძისა და შალვა დადიანის ლიტერატურული პრემიების ლაურეატის

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

დიდი ჯანსუღ ჩარკვიანის ამ ცოდვილი წუთისოფლიდან წასვლამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, მისი პოეზიის მილიონობით თაყვანისმცემელს, ქართულ პოეზიას და მთელ საქართველოს.

ის იყო კაცი, ვინც სამოცდაათ წელზე მეტი ხნის მოღვაწეობის მანძილზე კაცურად ედგა მხარში ჩვენს მწერლობას, ჩვენი პოეზიის საამაყო კოჰორტას და ალალი მარჯვენა მოუცილებლად ედო საფიცარი სამშობლოს პულსზე.

ის იყო, ჩემი აზრით, ბოლო მოჰიკანი, ვინც ერთხელ კიდევ მთელი სისრულით უჩვენა ქვეყანას როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტად დიდი პოეტი და დიდი პიროვნება, როგორ უნდა უყვარდეს პოეზია, ახალგაზრდობა, ხალხი და მომავალს სწორ სავალ გზას უნათებდეს.

ჯანსუღ ჩარკვიანი იყო ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების მარადჟამს მისაბაძი გზის გამგრძელებელი, მას არასოდეს უცდია ქართული ლექსის დახლართვა, შეურაცხყოფა, არც ახალი უნაყოფო გზების ძიებითა და მცირე-მცირე სიახლეებით ყოფილა ამჩატებული. მან არ უღალატა წინაპრების სისხლითა და ბრძოლით განვლილ გზას, პირიქით გააფართოვა და ახალი ფერები შეჰმატა.

მას არავითარი წოდება არ სჭირდებოდა, ისედაც იყო ჭეშმარიტი სახალხო პოეტი, მშობელი ხალხის მიერ ამ უპირველესწოდებამინიჭებული და მთელი ცხოვრება კაცურკაცობით ნატარები.

ჯანსუღ ჩარკვიანმა ოფიციალური ჰიმნის გვერდის ავლით შეძლო შეექმნა საქართველოსა და მისი სიმართლისათვის მებრძოლი შვილების გმირული ჰიმნი, რომელმაც ყველა სხვა ჰიმნი გადაჩრდილა და ერის უკვდავების სიმბოლოდ ისმის. ეს ჰიმნი, ყველას რომ ატკბობს და რაზმავს, ვითომდა შეურიგებელი მხარეების ერთიან ჰიმნადაც კი იქცა.

„ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია
მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება
ლომთა ხვედრია.“

ამიერიდან ჯანსუღ ჩარკვიანი მთაწმინდაზე დაიდებს სამუდამო სავანეს და თავის უახლოეს მეგობრებთან ჭაბუა ამირეჯიბთან, ოთარ ჭილაძესთან, ნოდარ დუმბაძესთან, ანა კალანდაძესთან, მუხრან მაჭავარიანთან ერთად არასდროს დასცილდება თბილისსა და საქართველოს.

ჯანსუღ ჩარკვიანის სახე, პოეზია, კაცობა, სამაგალითო ცხოვრება და გაუნელებელი სიყვარული შუქურასავით მარადის ენთება ჩვენი ქვეყნის მაღალ ცაზე.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება და ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქართული პოეზიისა და კაცური კაცობის ეტალონის, დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, მარად დაუვიწყარი

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

სანთელი

გემშვიდობებით!

ძნელია იმ მწუხარების სიტყვებით გამოხატვა, რომელსაც განვიცდით **ჯანსულ ჩარკვიანის** გარდაცვალების გამო.

სრულიად საქართველო გლოვობს დიდი პოეტის, ჭეშმარიტად სახალხო მგოსნის, სამშობლოსთვის თავდადებული, სახელოვანი და საამაყო შვილის დაკარგვას.

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი“...

გვჯერა, არასოდეს დაიკარგება, არ გაქრება ჯანსულ ჩარკვიანის სახელი ქართველი ერის მეხსიერებაში, ერის კულტურასა და ისტორიაში.

ჯანსულმა მშობელი ხალხის დიდი სიყვარული და აღიარება მისი მოქალაქეობრივი აქტიურობით და საზოგადოებრივ საქმიანობაში დაუღალავი მონაწილეობითაც დაიმსახურა. სამი ათეული წელი ჩვენი ასოციაციის საპატიო წევრი იყო, ერთგული მხარდამჭერი და თანამდგომი ჩვენ მიერ განხორციელებული ყველა საქველმოქმედო თუ სამშვიდობო ღონისძიებებისა. ამიტომაც ასოციაციის მიერ დაწესებული ყველაზე მაღალი ჯილდო „საპატიო ოქროს მედალი“ ჯანსულ ჩარკვიანს ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა.

გმადლობთ, ძვირფასო ჯანსულ!
თავს მდაბლად ვხრით შენი ხსოვნის წინაშე.
მარადიულ ნათელში გამყოფოს უფალმა.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

უძვირფასეს ნელსაცხებელზე სურნელოვანი

შარშანწინ, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემმა უსაყვარლესმა პოეტმა და რედაქტორმა ისეთი ლექსი დაბეჭდა, რომ სულით ხორცამდე შემძრა და მათქმევინა ის, რაც ამავე გაზეთმა 2015 წლის 30 დეკემბერს ბატონი ჯანსულის პორტრეტთან ერთად გამოაქვეყნა. აი, ისიც!

ჯანსულ ჩარკვიანს

ექსპრომტი,რომელიც დაბადა საქართველოს სახალხო პოეტის ჯანსულ ჩარკვიანის სიტყვებმა: „როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს, საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს“.

სახალხო ხარ,
თუმც ცხოვრება ხისტია,
არ მოსწონხარ „ცისფერებს“
და „ქათმებს“,
ვაჟკაცობა ვერ წაგართვეს
ქრისტიანს,
შენი ლექსი ვერ წარსტაცეს
ქართველს.
მერე რა, თუ ზოგს თვალებზე
ბისტი აქვს,
არწივიც გყავს და ლამაზი მართვეც;
ღმერთო, რწმენას ნუ წაართმევ
ქრისტიანს,
ჯანსულის ლექსს ნუ მოაკლებ
ქართველს!

ეს რომ წაუკითხავს, რედაქტორისათვის დაურეკავს, რათა ჩემი კოორდინატები დაედგინა და მადლობა პირადად ეთქვა.

ამას შემთხვევით არ ვიხსენებ. ყოველთვის და ყველასთან გამორჩეულად ყურადღებიანი გახლდათ და თანაც არა მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც მასზე ან მის ოჯახზე იტყოდა კეთილ სიტყვას, არამედ ყველასადმი, განსაკუთრებით კი იმის მიმართ, ვინც მისი რედაქტორობით გამომავალ „ცისკარს“, „დროშასა“ და გაზეთ „ქართულ სიტყვას“ სასურველ მასალას მიაწვდიდა. ამის მოწმე და მნახველი მრავალჯერ გავმხდარვარ და, შორს რომ არ წავიდე, ამჯერადაც საკუთარ მაგალითს დავასახელებ. 1995 წლის სექტემბრის ბოლოს ისრაელში მივლინებიდან დაბრუნებულმა „დროშის“ პასუხისმგებელ მდივანს, პოეტ ვასო გვეტაძეს ნარკვევი გადავეცი.

— რა დაარქვი? — დაინტერესდა თანამშრომლის კაბინეტში შემოსული ბატონი ჯანსული, ვიდრე მასალას გამოართმევდა და გადაათვალიერებდა..

— „პირდაბანილი მზის სადღეგრძელო“.

— რატომ? — გაიკვირვა.

— სასწაულებრივი ამბის მომსწრე გავხდი, ბატონო ჯანსულ! ისრაელში,სადაც წელიწადის ამ დროს წვიმა არასდროს მოსულა, იერუსალიმის საიუბილეო დღეების წინა საღამოს ნამდვილი თავსხმა იყო და დილით ქალაქის ცა იუბილეს დაწმენდილი თვალებით შეეგება.

— საინტერესო დამთხვევაა!

მადლობა?

მადლობა იმ დღეს არ თქმულა. მაშინ ჩვენი შეხვედრა საოცრად ემოციური დატვირთვით ნათქვამი ამ ორადორი სიტყვით ამოიწურა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ყოველგვარ მოლოდინს აღმატებული ჰონორარით.

საერთოდ ბატონ ჯანსულზე, როგორც რედაქტორზე ბევრი კეთილი სიტყვა შეიძლება ითქვას, რადგან ჟურნალისტის პროფესიული თვალით დანახული მოვლენები მის პოეზიას მამულიშვილური შემართებით ერწყმის და ერთ დიდ მთლიანობად აღიქმება.

* * *

სოლომონ ბრძენივით დავითის ძე და თავადაც უბრძნესი მეფე კოჰელეთი, რომელიც ბერძნებმა ეკლესიასტედ „მონათლეს“, ბრძანებდა: „კარგი სახელი სჯობია კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილის დღე დაბადების დღეს“.

ეს სიტყვები უმკაცრესად, მაგრამ უზუსტესად არის ნათქვამი, თუმცა ამ წუთებში აუტანლად ძნელი მოსასმენია, რადგან დგას განშორების წამები... და მაინც თითოეულ ჩვენგანთან ნუგეშად რჩება იმედი, რომ უკვდავია სული ჭეშმარიტად სახალხო პოეტისა, რომლის სახელი ყველაზე უძვირფასესი ნელსაცხებლის სურნელით მთაწმინდამდე ამაღლდა!

ალექსანდრე შენგელია

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1992-1995 წ.წ.,1995-1999 წ.წ. და 1999-2004 წ.წ. მოწვევის პარლამენტის წევრი

ჯანსულ ჩარკვიანი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი

ძმა ჯიმშერ ჩარკვიანი, რძალი იზაბელა, ძმისშვილი მაკა, შვილიშვილი ნიკა ნამგალაძე იუწყებიან

ჯანსულ ჩარკვიანის

გარდაცვალებას.

ვაჟა აზარაშვილი, მანანა დანგაძე დიდი გულისტკივილით ემშვიდობებიან ჭეშმარიტ პოეტსა და დიდ მამულიშვილს, ძვირფას მეგობარს, დაუვიწყარ

ჯანსულ ჩარკვიანს

და მთელი გულით უსამძიმრებენ განსვენებულის დამწუხრებულ ოჯახს.

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, ჭეშმარიტად სახალხო პოეტის

ჯანსულ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

კიდევ ერთი დიდი ქართველი დააკლდა ჩვენს სამშობლოს

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჭეშმარიტად სახალხო პოეტის, მრავალი შემოქმედებითი პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალრის, საზოგადოება „თბილისელის“ ყოფილი პრეზიდენტის, საპატიო თბილისელის, ჩვენი ფონდის პრეზიდიუმის აქტიური წევრის

ჯანსულ ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

სანთელი

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1995-1999 წ.წ. მოწვევის პარლამენტის წევრი

ალექსანდრე ფაღავა

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
საქართველოს 1990-1991 წ.წ. მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი

თამაზ ჟორჟოლიანი

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით კობა ამირხანაშვილი

ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

შოთა ზოიძე ლოგიკასთან მწყრალად არის...

მცირე განმარტება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს...

ბერნანდ შოუ წერდა: „ასაკთან ერთად სიბრძნეც მემატება, უმეცარ, ჯიუტ მოწინააღმდეგესთან კამათისას, სურვილი მიჩნდება, — ფეხზე წამოვდგე, ხელი ჩამოვართვა, კარგად ყოფნა ვუსურვო და გავეცალო!“ ამჯერად ამ „სიბრძნეს“ ვერ გავიზიარებ, რადგან ზოიძეებისა და თურმანიძეების შემხედვარეს, ხელში არაფერი შეგვრჩება!.. როგორც პოეტს, ასევე ისტორიკოსს სათქმელი წერილობით, გაზეთების („საქართველოს რესპუბლიკა“, „აჭარა“) საშუალებით გავაცანი. ისინი თავისას მაინც არ იშლიან!.. ახლა ორივეს სახელით, პოეტმა შემომიტია: „გაბრაზებული გაგუა, უმეცარი და დასასჯელი „კრასნოველები“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 3.11.2017წ.). საბედნიეროდ, პასუხის გაცემას გადავურჩი, რადგან ოპონენტმა ჩემ დაუხმარებლად, მთელი სისავსით წარმოაჩინა საკუთარი თავი და მიუხედავად „გაბრაზებისა“, სათქმელი არ დამიტოვა თუ რატომ ავუწიე ყური!

შოთა ზოიძის პოეზიას არ ვიცნობ და ამდენად, ვერც ვერაფერს გეტყვით, მაგრამ „ლოგიკასთან“ უსაშველოდ მწყრალად რომ არის, ტყუის და რაც მთავარია, ეს რომ არ არის ჩემი წერილის „აგრესიული პროვინციალიზმის“ პასუხი, ამას მკითხველი თავადაც მიხვდება! და საერთოდაც, ასეთი ზერელე, უპასუხისმგებლო პუბლიკაციები, მით უმეტეს, ისეთ ეროვნულ ღირებულებებზე, როგორც ბათუმის ბოტანიკური ბაღია, საკუთარი ისტორიის ხელყოფა, საზოგადოების უპატივცემულობაა!..

ოთარ გაგუა,
მუზეუმ „მზიანი ღამის“ მცველი

მაიკლ ჯექსონის ქალიშვილმა ბავშვობის ტკივილზე ისაუბრა

პოპ-მუსიკის მეფის მაიკლ ჯექსონის 19 წლის შვილმა პარისმა აღიარა, რომ ბავშვობაში საკუთარ თავს ვერ იტანდა, რის გამო ბევრი უარყოფითი განცდა და ტკივილი დაუგროვდა.

თუმცა ეს ყველაფერი გოგონამ წარსულს მიაბარა და საკუთრი თავის პატივისცემა დაიწყო. კომპლექსების დათრგუნვაში მას ქველმოქმედება დაეხმარა.

სიკეთე ჩემთვის პირველ ადგილზეა — აცხადებს პარისი.

იგი აქტიურად ეხმარება ქარიშხლის შედეგად დაზარალებულ პუერტო-რიკოს მოსახლეობას.

გოგონა აცხადებს, რომ ახლა მისი მიზიანია, ყველასთვის სამაგალითო და საამაყო იყოს.

მაიკლ ჯექსონს პარისის გარდა კიდევ ორო ვაჟი დარჩა, რომლებიც ასევე ხშირად ექცევიან პრესის ყურადღების ქვეშ. ბიჭები დის მსგავსად ცდილობენ, რომ სანიმუშოები იყვნენ.

პოპ-ვარსკვლავი მადონა ეკონომ-კლასით დაფრინავს

მსოფლიო სცენის ვარსკვლავი მადონა, რომლის ქონებაც რამდენიმე მილიონს აღემატება თვითმფრინავში ეკონომ-კლასის ბილეთებით სარგებლობს.

მომღერალი ძირითადად სამ ქვეყანაში — ინგლისში, პორტუგალიასა და აშშ-ში მუშაობს, რის გამოც ჰაერში საკმაოდ დიდი დროის გატარება უწევს და შეუძლია პირადი თვითმფრინავიც ჰქონდეს. თუმცა იგი ლისაბონიდან ლონდონში სხვა მგზავრებთან ერთად ეკონომ-კლასით გადაადგილდება.

გაკვირვებულმა თაყვანისმცემლებმა სულ ახლახან ნახეს მადონა სპორტულ ქურთუკსა და ფეხსაცმელებში, მობილურ ტელეფონში თავჩარგული, რიგით მგზავრებთან ერთად.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

აქტიური პროცესები ნოემბერში

10, 11, 15, 22, 25-27 — ნოემბრის ის დღეებია, როცა მოსალოდნელია გეოფიზიკური პროცესების გააქტიურება. ამ დღეებში სავარაუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის მომატება, სოციუმში დაძაბულობის გაზრდა და სეისმური აქტივობის გაძლიერება.

10 — ლომის თანავარსკვლავედში მთვარის ბოლო მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. დიდია ქრონიკულ, გულსისხლძარღვთა, ზურგის, ხერხემლისა და კანის დაავადებათა გამძაფრება. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, სტრესებს, გონებრივ და ფიზიკურ გადატვირთულობას.

15 — სასწორის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება. შესაძლოა, წელის არეში ტკივილების, რადიკულიტის, თირკმლებისა და საშარდე სისტემის დაავადებათა წარმოშობა. გამორიცხული არ არის თირკმლებში ანთებითი პროცესების გაჩენა. მოერიდეთ გაციებას, ინფექციურ და გადამდებ დაავადებებს, უარი თქვით ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლზე.

17 — მორიელის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. გამორიცხული არ არის სასქესო ორგანოთა და სწორი ნაწლავის, აგრეთვე ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა. აუცილებელია საკუთარი ემოციების გაკონტროლება, უარის თქმა ტკბილეულზე, დიეტის დაცვა, ეცადეთ, გადამდები დაავადებებისთვის თავის არიდება.

18 — ახალმთვარეობა მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. დიდია ქრონიკულ, გულის, სასუნთქი ორგანოების, სისხლძარღვთა და ღვიძლის დაავადებათა გამძაფრების ალბათობა. გამორიცხული არ არის საკვებით მოწამვლა, რადიკულიტი, ასევე წელის, თეძოების, სახსრებისა და მუხლების ტკივილები. გირჩევთ გადაღლისგან, სტრესებისგან, ტრავმატიზმის საფრთხის შემცველი საქმიანობისგან, ასევე გაციებისგან თავის არიდებას, უარის თქმას ცხიმიანი საკვებისა და ალკოჰოლის მიღებაზე.

21 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება, მთვარის აპოგეა. დიდია თეძოების, თირკმლების, ღვიძლისა და საშარდე სისტემის დაავადებათა, წარმოშობის ალბათობა, საჯდომის ნერვის ანთება. არ არის გამორიცხული ფილტვებისა და ბრონქების სნეულებების გამძაფრება. მოერიდეთ ტრავმატიზმს, გაცივებას, უარი თქვით ალკოჰოლის, ცხიმიანი და მძიმე საკვების მიღებაზე.

22 — თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება. არსებოს რევმატიზმის გამძაფრების, ძვლების, სახსრებისა და მყესების, კანისა და კბილების დაავადებათა წარმოშობის საფრთხე. თბილად ჩაიცვით, მოერიდეთ გაცივებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს.

26 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარის ბოლო მეოთხედი. სავარაუდოა, ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. მოსალოდნელია ფსიქიკურ და კანის ალერგიულ დაავადებათა გამძაფრება, სასხრებსა და კუნთებში ტკივილების, ასევე ტერფებისა და ვენების დაავადებათა, შეშუპებების წარმოშობა. სასურველი არ არის ემოციურობა, გადაღლა, დიდხანს სიარული, ფეხზე დგომა, სიმძიმეთა გადატანა.

27 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. დიდია ფსიქიკურ სნეულებათა გამძაფრების, ღვიძლის, ფეხებისა და ტერფების შეშუპების, აგრეთვე ალერგიულ დაავადებათა წარმოშობა. გამორიცხული არ არის საავარიო და ტრავმასაშიშ ვითარებათა წარმოშობის ალბათობა. მოერიდეთ დიდხანს სიარულს, ფეხზე დგომას, სიმძიმეთა აწევას, ასევე ალკოჰოლისა და ყავის მიღებას.

30 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება. მოსალოდნელია თავის, სახის, თვალების, კბილებისა და სმენის ორგანოთა დაავადებათა წარმოშობა, ანდა არსებულთა გამძაფრება. ამ ორგანოებზე ოპერაციების ჩატარებას უმჯობესია, მოერიდოთ. გადაღლის შემთხვევაში შესაძლოა თავის ტკივილები, უძილობა და მოთენთილობა. ეცადეთ, აკონტროლოთ ემოციები, იყავით მშვიდი, დაიცავით რეჟიმი და მეტი დაისვენეთ. უარი თქვით აღმგზნები საშუალებების, ყავის, შოკოლადის, ცხიმიანი საკვების მიღებაზე, თამბაქოს მოწევაზე. სვით მეტი წყალი. სასურველია, გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და სეირნობა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6108; ევრო - 3.0301;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4248;
100 რუბლი - 4.4283; თურქული ლირა - 0.6766;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5382;
1000 სომხური დრამი - 5.3787.

ამინდი 8 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +17
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +18
თბილისი:	ღამე +8,	დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge